


აზერბაიჯანის ისტორია 7

სახელმძღვანელო

LAYIHÉ





Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi *Üzeyir Hacıbəylinin,*
sözləri *Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hər bə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

LAYIHƏ



ილჰამ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის სამართო პროვინული ლიდერი

LAVIE

LAYIH

იაგუბ მაჰმუდლუ, საბირ აგაევი,
ბაბეკ ხუბიაროვი, ხაჯარ ალიშოვი,
ლეილა ჰუსეინოვა, სევილ ბახრამოვი

აზერბაიჯანის ისტორია 7

სახელმძღვანელო

საერთო- საგანმანათლებლო სკოლების
მე- 7 კლასისათვის

ამ გამოცემასთან დაკავშირებული გამოხმაურებები, შენიშვნები და
წინადადებები გთხოვთ გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ
მისამართზე: tahsil_az@yahoo.com და derslik@edu.gov.az
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!

LAYIH



ბაქო – 2017 წ.

სახელმძღვანელოში გამოყენებული
პირობითი აღნიშვნები



– მოვიფიქროთ



– წყაროები




– დავალება



– საინტერესო ინფორმაცია



– ძირითადი სიტყვები



– ლექსიკონი

LAYIH

შინაარსი

აზერბაიჯანი სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღორძინების მიჯნაზე

1. ფეოდალური ურთიერთობების განვითარება7
2. აზერბაიჯანული ალბანეთის მმართველი ჯავანშირი10
3. ისლამური რელიგიის მიღება14
4. განმანთავისუფლებელი ბრძოლა ბაბექის წინამძღვრობით18

აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივობის აღდგენა

5. სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობის ტრადიციების აღდგენა23
6. აზერბაიჯანი ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში28
7. ორი აზერბაიჯანული სახელმწიფო გაერთიანებული ხუდაფერის ხიდით ..33
8. სლავების თავდასხმები38
9. მოსახლეობის საქმიანობა და ყოფა43
10. აზერბაიჯანის კულტურა IX–XI საუკუნეებში48

ოღუზო -სელჩუკური დინებები და აზერბაიჯანი

11. ოღუზო -სელჩუკური დინებები55
12. ჩვენი ხალხის ერთად ჩამოყალიბების პროცესის დამთავრება60
13. სელჩუკთა სასახლიდან დამოუკიდებელ ხელისუფლებამდე65
14. აღორძინების კულტურა70

სამეფოსთვის ბრძოლა

15. მონღოლები აზერბაიჯანში76
16. მონღოლთა მესამე ლაშქრობის შედეგად შექმნილი სახელმწიფო81
17. ბრძოლა აზერბაიჯანისათვის86
18. მმართველის სიბრძენე და ადგილობრივი
19. მფლობელის შეუპოვარი ბრძოლა.....89
20. გადამთიელებმა ვერ შესძლეს ჩვენი კულტურის
21. განვითარების შეჩერება94

ერთიანი აზერბაიჯანის გამო

22. ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფო99
23. უზუნ ჰასან ალგოიუნლუს სახელმწიფო პოლიტიკა105
24. აღ-ყოიუნლუს სახელმწიფოს დაშლისკენ მიმავალი გზა110
25. ერთიანი ცენტრალიზებული აზერბაიჯანული სახელმწიფო117
26. აზერბაიჯანის კულტურა123
27. გამოყენებული ლიტერატურა127

ძვირფასო მეგობარო!

შენ უკვე შეისწავლე ძველი აზერბაიჯანის ისტორია. ეს სახელმძღვანელო შეგასწავლის ჩვენი სამშობლოს ისტორიას შუა საუკუნეების ხანაში. შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ახალი სახის სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობები, შეიქმნა ჩვენი ერთიანი და ცენტრალიზებული სახელმწიფო.

სასანიდებისა და არაბთა დაპყრობების დროსაც კი აზერბაიჯანმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობის ტრადიციები. გადამთიელებმა ვერ შეაფერხეს აზერბაიჯანელი ხალხის ფორმირების პროცესი. დამპყობლების მიერ მცდელობები ასიმელაცია გაეტარებინათ ადგილობრივი მოსახლეობაში, ეთნოპოლიტიკური და კულტურული ერთიანობა უმრავლეს თურქულენოვან ეთნოსებს შორის კიდევ უფრო გაძლიერდა. დასრულდა ერთიანი აზერბაიჯანული ერის ფორმირება. ერთიანი სახელმწიფოს შექმნა „რკინის კარიბჭედან“ – დერბენტიდან ზენჯანამდე და ხამადანამდე გახდა კავკასიაში თურქული ეთნოსის ჩამოყალიბება ძირითად ფაქტორად. IX საუკუნეში დაწყებული დამოუკიდებელი და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი დამთავრდა კულტურის აღორძინებით.

შირვანშაჰები, საჯიდები, სალარიდები, რავადიდები, შედადიანები, ათაბეგები, ხულაგუიდები (ელხანიდები), ყარა-ყოიუნლუ, აღგოიუნლუ, სეფევიდები და სხვა სახელმწიფოებმა დიდი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩვენი ხალხის ისტორიაში. ამ სახელმწიფოების მიერ მსოფლიო ისტორიაში ადგილის დამკვიდრების შესახებ გახდება შენი წინამძღოლი მე-7 კლასის „აზერბაიჯანის ისტორია“. ეს სახელმძღვანელო მოგცემს დიდ შესაძლებლობებს აზერბაიჯანის ისტორიის V–XIV საუკუნეების მნიშვნელოვანი მომენტებისა და პროცესის შესწავლაში.

როდესაც განვიხილავთ ვაკვირდებით, ვხვდებით, რომ ჩვენ ვართ უნიკალური მემკვიდრეობის მემკვიდრეები. ყოველი აზერბაიჯანის მოქალაქე, უნდა შეეცადოს ამ მემკვიდრეობის ღირსი იყოს, დიდი პასუხისმგებლობით მოეციდოს ჩვენი მაღალი ღირსეული და მდიდარი კულტურის მქონე სახელმწიფოს, როგორც წარსულს ასევე აწმყოსა და მომავალს.

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანი სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღორძინების მიჯნაზე

1. ფეოდალური ურთიერთობების განვითარება



რა შეგიძლია მოგვიყვე აქ გამოსახული ხალხის საქმიანობაზე, მათ სოციალურ მდგომარეობაზე და მათ ყოფაზე? აღნიშნე შენი აზრები.

VI საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა ფეოდალური ურთიერთობები. თემების მიწები გადაეცემოდა ფეოდალებს საკუთრებაში, ხოლო მწელად დასამუშავებელი მიწებს თავს ანებებდნენ. მიწის გარეშე დარჩენილი გლეხები ხდებოდნენ დამოკიდებულნი.

აზერბაიჯანის სამხრეთ მიწებზე – ატროპატენაში ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია სასანიდთა შაჰის ხოსროვ I ანუშირვანის რეფორმებმა. მან გადასცა ცარიელი მიწები სამხედროებს და მოაწესრიგა გადასახადების სისტემა. ამით, მან დაასრულა გადასახადების ამკრეფი პირებისა და მოხელეების უსამართლობა. ბავშვები, ქალები, ქურუმები და მოხელეები განთავისუფლებულნი იყვნენ სასულო გადასახადისგან.

ფეოდალი, რეფორმა, სასულო გადასახადი, სამხედრო მირზა (მწერალი), ხოსტაკი, დასთავურტი, ნატურალური მეურნეობა


? როგორ სთვლი, რა მიზანს ემსახურებოდა სამხედროებზე მიწის გადაცემა? გამოხატე შენი აზრი.

LAYBY

მიწადმფლობელობის ფორმები ადრეულ შუა საუკუნეების ხანაში

დასთავურტი (შთამომავლო ბითი მიწის ნაკვეთი)

ხოსტაკი (პირობითი მიწადმფლობელობა)



იპოვნეთ რუკაზე ალბანეთის ოლქები.

შენის აზრით რაში გამოიხატება ნატურალური მეურნეობის არსი?

ხოსროვ I რეფორმებმა გაზარდეს პირობითი მიწადმფლობელთა რიცხვი, გაიზარდა მცირე და საშუალო მიწადმფლობელების რიცხვი.

გლეხების ექსპლუატაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა გადასახადების აგროვება და ვალდებულებების დაკისრება მათზე. გლეხებთან ერთად გადასახადებს ასევე ხელოსნებიც და ვაჭრებიც იხდინენ. ქურუმები, ჯარისკაცები და მწერლები ითვლებოდნენ სახელმწიფოს ძირითად ფენად. ზოროასტრიზმის რელიგიის ბატონობა ქურუმებს აძლევდა გამდიდრების საშუალებას.

ხიდეები, ციხე-სიმაგრეები და გზები ითვლებოდნენ სახელმწიფო საკუთრებად. გლეხები მონაწილეობდნენ მათ მშენებლობაში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

ერთ-ერთ ძირითად არსად ადრინდელ შუასაუკუნეთში ნატურალური მეურნეობა* იყო. გლეხები თავიანთი თავისათვის და ფეოდალისათვის ამზადებდნენ სხვადასხვა სახის პროდუქციას, საკვებს, ხელოსნობის



*ნატურალური მეურნეობა – მეურნეობა, რომელსაც არ გააჩნია კავშირი ბაზართან



საგნებს, რომელნიც არ იყიდებოდნენ ბაზარზე.

აქედან გამომდინარე საქონელზე მოთხოვნა მინიმალური იყო. ნატურალური მეურნეობა ხელს უშლიდა სხვადასხვა ფეოდალებთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.

ფეოდალური ურთიერთობები აზერბაიჯანსა და ევროპაში

აზერბაიჯანი	ევროპა
III საუკუნიდან – XIX მერე ნახევრამდე	V საუკუნიდან – XVII საუკუნის შუამდე
გლეხები პირადად არ იყვნენ ფეოდალზე დამოკიდებულნი	გლეხები ყმები იყვნენ, ანუ პირადად იყვნენ ფეოდალზე დამოკიდებულნი
თვითონ ფეოდალებს არ ეწეოდნენ საკუთარი მეურნეობას, ვინაიდან ხელოვნური მორწყვის პირობებში ეს არ იყო სარფიანი	ფეოდალებს გააჩნდათ თავიანთი მეურნეობები

V–VII საუკუნეებში ფეოდალური ურთიერთობები ალბანეთში და ატროპატენაში თანაბრად ვითარდებოდნენ. სასანიდელმა მმართველებმა აზერბაიჯანის ჩრდილოეთში ჩამოასახლეს სპარსული მოსახლეობა. მათ ამოცანას წარმოადგენდა თავიანთი პოზიციების გაძლიერება სპარსულენოვანი ტომების მეშვეობით. მაგრამ სპარსულენოვანმა ტომებმა განიცადეს ასიმილაცია თურქუენოვან ტომებთან და მიიღეს მონაწილეობა საერთო ეთნოსის ფორმირებაში.



1. ექსპლუატაციის რა ფორმები გამოიყენებოდა გლეხებთან მიმართებაში?
2. შენის აზრით ნატურალური მეურნეობა რატომ უშლიდა ხელს სხვა რეგიონებთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას?
3. როგორ შეიქმნა პირობითი მიწადმფლობელობა?



1. ჩამოაყალიბე ფეოდალიზმის განვითარების მიზეზები აზერბაიჯანში.
2. „ფეოდალური ურთიერთობები აზერბაიჯანსა და ევროპაში“ ცხრილის საფუძველზე გამოარკვიე:
 - ა) რომელ ტერიტორიაზე უფრო აქტიურად ვითარდებოდა ფეოდალური ურთიერთობები?
 - ბ) როგორ ფიქრობ, რატომ არ გააჩნდა ფეოდალს აზერბაიჯანში საკუთარი მეურნეობა? დაამტკიცე შენი აზრი.

LAYI.H

2. აზერბაიჯანული ალბანეთის მმართველი ჯავანშირი



მურადი ყოველდღე დადის სკოლაში. დედამისი ისტორიის მასწავლებელია. მათი გზა ჯავანშირის ხიდზე გადის. ერთხელ მურადს დაინტერესა ჯავანშირის ვინაობა. დედამისი ჰქონდა მზად პასუხი. ალბათ, შენც დაგაინტერესებს დედამისის პასუხი.


რას ფიქრობ, რა უპასუხა მურადს დედამ ჯავანშირის შესახებ? ჩაწერე შენს რვეულში სავარაუდო პასუხი.

იმისათვის რომ, ჩაწვდე დედის სრულ პასუხს შენ უნდა შეისწავლო VII საუკუნის აზერბაიჯანის რთული ისტორიული ხანა.



მეჰრანიდები, ჯავანშირი, ჰუნების გასასვლელი, ხაზარები, ბიზანტია

საკანალიზაციო გაყვანოლობა შუასაუკუნეთის ქალაქ ბარდაში



*ნახევარდაქვემდებარება – ნაწილობრივ დამოკიდებული სხვაზე, რომელსაც ბოლომდე არ გააჩნია დამოუკიდებლობა

ბარდა გახდა დედეაქლაქი. VII საუკუნეში აზერბაიჯანის სამხრეთში – ალბანეთში დაიწყო მეჰრანიდთა დინასტიის მმართველობა. ამ დინასტიამ დაამყარა თავისი ხელისუფლება ალბანეთის გირდიმანის პროვინციაში. შემდგომ მეჰრანიდთა ძალაუფლება გავრცელდა მთელს ალბანეთზე. დინასტიის დამაარსებელი იყო მეჰრანი. იგი მიეკუთვნებოდა საბირების თურქულ ტომს. მეჰრანიდებმა გირდიმანში დაარსეს ქალაქი მეჰრევანი.

ჯავანშირის შიდა და გარე პოლიტიკა. მეჰრანიდთა ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი იყო მხედართმთავარი ჯავანშირი.

VII საუკუნის 30-ან წლებში ალბანეთი იყო სასანიდური იმპერიისგან ნახევარდაქვემდებარებაში*. ამის გამოც ალბანეთის მმართველიც და მისი შვილიც – ჯავანშირი ბრძოლობდნენ სასანიდთა მხარეზე არაბების წინააღმდეგ. ახალგაზრდა მხედართმთავარი ბრძოლებში ვაჟკაცობითა და უშიშრობით გამოირჩეოდა. მაგრამ, როდესაც მან შეამჩნია, ამ ბრძოლის უაზრობა თავისი ქვეყნისათვის, იგი სამშობლოში დაბრუნდა.

642 წელს, სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის მამამ ჯავანშირი მმართველად დანიშნა. ალბანელი მწერალ-მემატიანე მოსე კალანკატუელი (მუსა კალანკატლი) გვამცნობს რომ, ჯავანშირი მმართვედა ტერიტორიას იბერიიდან* ჰუნების გასასვლელამდე* და არაქსის ნაპირებამდე.

სახელმწიფოს შიდა პოლიტიკასთან ერთად, ჯავანშირი საგარეო პოლიტიკასაც ბრწყინვალედ ახორციელებდა. მისი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები იყო ძლიერი სახელმწიფოს შექმნა და ურთიერთობები ბიზანტიის იმპერიასთან და ხაზართა კაგანატთან.

ბრძნული პოლიტიკის შედეგები. 651 წელს სასანიდთა იმპერია დაეცა. ამ დროს, არაბთა შემოსევის საშიშროების გამო, ჯავანშირმა დადო კავშირი ბიზანტიასთან. ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე II ჯავანშირთან შეხვედრის დროს განიხილა არაბებთან საერთო ბრძოლის საშუალებები.

იმ დროს, სანამ სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიები არაბებს ჰქონდათ დაპყრობილი, ჩრდილოეთიდან ალბანეთს თავს ესხმოდნენ ხაზარები. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ჯავანშირმა შესძლო ხაზართა დამარცხება და მათი ქვეყნიდან განდევნა. მაგრამ, მათი შემდგომი თავდასხმედი უფრო ძლიერნი იყვნენ. ჯავანშირმა ზავი დადო ხაზარებთან და ცოლად მოიყვანა ხაზართა კაგანის ქალიშვილი. ამ „საქორწინო დიპლომატიის“ წყალობით ჯავანშირმა დაიცვა სახელმწიფოს ინტერესები და შეაჩერა ხაზართა შემოსევები. მშვიდობიანი ზავის პირობებით ალბანეთს უნდა ეხადა ყოველწლიური ხარკი ხაზარებისათვის, სანაცვლოდ კი ისინი აბრუნებდნენ ყველა ტყვედ გარეკილ ხალხსა და პირუტყვს.

VII საუკუნის 60-ან წლებში სახალიფოში სათავეში მოვიდნენ ომიადები. ომიადებმა უფრო გააძლიერეს ომები. ბიზანტია ამ ომებში კიდევ უფრო დასუსტდა.



აზერბაიჯანული ალბანეთის მმართველი ჯავანშირი, მოქანდაკე ფუად აბდურახმანოვი

?
რატომ უძახიან ამ პოლიტიკას „საქორწინო დიპლომატიის“. გამოთქვი შენი აზრი.




*იბერია – ისტორიული ოლქი საქართველოში

*ჰუნების გასასვლელი – დერბენტის გასასვლელის ერთ – ერთი დასახელება

LAYI.H

ალბანეთი VII საუკუნეში



ალბანეთი კი მარტო ვერ შესძლებდა მრავალრიცხოვანი არაბების დამარცხებას. ხაზართა თავდასხმებმა ჩრდილოეთიდან და ირანელი ფეოდალების თავდასხმებმა სამხრეთით შეცვალა ჯავანშირის დამოკიდებულება არაბების მიმართ.



დამტკიცე ალბანეთის სამხედრო – სტრატეგიული და გეოგრაფიული მნიშვნელობა.

ალბანეთის მმართველმა გადაწყვიტა პოლიტიკური გზით მოეგვარებინა ურთიერთობები არაბთა სახალიფოსთან. 667 დე 670 წელს ჯავანშირი ორჯერ შეხვდა დამასკოში სახალიფოს მმართველს – ხალიფა მუავიას. მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. ხალიფა აღარ ერეოდა ალბანეთის სახელმწიფოს შიდა პოლიტიკაში, გადასახადები შემცირდა მესამედით. ხალიფას დათმობები განპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზებით. ალბანეთს სამხედრო – სტრატეგიული და გეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა, ასევე გააჩნდა უმრავი წიაღისეული სიმდიდრე. იმავდროულად, როგორც მემატიანეები აღნიშნავენ, ჯავანშირს დიდი ავტორიტეტი გააჩნდა.

თავისი წინამძღვრეტელი პოლიტიკის მეშვეობით ჯავანშირმა შესძლო ჩრდილო აზერბაიჯანის მიწების – ალბანეთის გადარჩენა არაბთა ხალიფატისა, ბიზანტიისაგან, სასანიდთაგან და ხაზარებისაგან. სახელმწიფოში შეიქმნა პირობები კულტურისა და ეკონომიკის განვითარებისათვის. ჯავანშირი დიდ ყურადღებას უთმობდა დედაქალაქის გალამაზებას, მეცნიერებს, პოეტებს. მაგრამ, ფეოდალებმა, რომელნიც ბიზანტიის მომხრეები იყვნენ, 681 წელს მოაწყეს შეთქმულება, რომლის შედეგადაც ჯავანშირი მოკლული იქნა. მისმა შთამომავლებმა ვერ შეინარჩუნეს ალბანეთის დამოუკიდებლობა. 705 წელს ალბანეთი დაპყრობილ იქნა არაბების მიერ. ალბანეთის მმართველად დანიშნული იყო ხალიფას ნაცვალი.



შენ რომ, ყოფილიყავი მმართველი, როგორ მოიქცეოდი ესეთ რთულ სიტუაციაში? შენ თანაკლასელებთან ისაუბრე ამის შესახებ და შენი აზრები ჩაიწერე რვეულში.



1. როდის შეიქმნა გირდიმანის სახელმწიფო?
2. რა სიტუაცია იყო სახელმწიფოში ჯავანშირის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში?
3. რა იყო ალბანეთის დაშლის დაჩქარების მიზეზი?



1. გამოკვეთე ჯავანშირის საგარეო პოლიტიკის მიმართულებები.
2. დამტკიცე რომ, ჯავანშირი იყო აზერბაიჯანის ალბანეთის მმართველი.
3. ახსენი ჯავანშირის მიერ არაბთა ხალიფთან მოლაპარაკებების მიზეზები.

ალვანის მმართველი ჯავანშირი; ირანელების დამარცხება

...არაბებმა გაერთიანეს ფარები და წინასწარ გადავიდნენ შეტევაში ირანელების წინააღმდეგ.

უშიშარი ალბანელი მხედართმთავარი თავისი ჯარით შეიჭრა არაბთა რიგებში ორი დააგდო მიიღო სამი ჭრილობა, მისი ცხენი ოთხჯერ იყო დაჭრილი. იგი... გარბოდა მდინარე ეფფრატამდე, მტერი მოსდევდა მას, მან გადაცურა მდინარე. მთელი ტანსაცმელი სისხლიანი იყო... როდესაც შაჰს მოუთხრეს მისი გმირობების შესახებ შაჰმ ა გააგზავნა თავისი კარის მკურნალები.

... გამოჯანსაღების შემდეგ ჯავანშირი ეწვია შაჰის კარს... შაჰმა ტანს შემოაცვა ოქროს ქამარი მარგალიტებით მორთული და ოქროს ტარიანი ხმლით...

მოსე კალანტუელი. ალბანეთის ისტორია. მხითარ გომი. ალბანური წყაროები. ბაქო, 1993, გ. 117-118.

LAYI

3. ისლამური რელიგიის მიღება



აზერბაიჯანული ენის გაკვეთილზე მოწაფეები განიხილავდნენ სიტყვათა წარმოშობას. მასწავლებლის კითხვამ „იცოდნენ თუ არა მოწაფეებმა თავიანთი სახელების მნიშვნელობა?“ გამოიწვია დიდი გამოცოცხლება. ყველაზე დიდი ინტერესი გამოითქვა სახელ მინარაზე. მინარამ განაცხადა რომ, მისი სახელი არაბული წარმოშობისაა. მისი

ნათქვამის დასადასტურებლად მასწავლებელმა განაცხადა რომ, ჩვენს ენაში არის უამრავი არაბული წარმოშობის სახელი.

როგორ სთვლი, რატომ არის ჩვენს ენაში არაბული სახელები? რა კავშირი აქვს ამას ჩვენს ისტორიასთან? ამასთან დაკავშირებით მოაწყეთ დისკუსია და ჩაწერე რვეულში შენი აზრები.



არაბები, ხაზარები, ჰუმანიზმი, დოგმა, ერთღმერთიანობა.

არაბთა შემოსევა აზერბაიჯანზე. VII საუკუნის 40-ან წლებში არაბთა ჯარმა დაიწყო აზერბაიჯანზე შემოტევა. სასანიდთა იმპერიის დაცემის შემდგომ არაბებმა გააფართოვეს თავისი დაპყრობები აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის სამხრეთი მიწების დაპყრობის დროს არაბები შეეჯახნენ არდებილში მნიშვნელოვან წინააღმდეგობას. აქ გამარჯვების შემდგომ არაბები გაეშურნენ ჩრდილოეთით ალბანეთისაკენ.

VII საუკუნეში დაწყებული არაბთა და ხაზართა შემოსევები კიდევ უფრო გაძლიერდნენ VIII საუკუნეში. აზერბაიჯანში დამკვიდრების შემდგომ არაბებმა დაიწყეს ხაზართა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მომზადება. ამის მიუხედავად ბრძოლები მიმდინარეობდა ცვალებადურად: ხან არაბები იმარჯვებდნენ, ხან ხაზარები.

მორიგი შემოსევისას ხაზარებმა არაბები მიიმწვრიეს არდებილთან. სავალანის მთის მახლობლად მათ დაამარცხეს არაბები. შემდგომ ხაზარებმა დაიპყრეს დოიარბეიქი და მოსული. არაბთა ხალიფამ გააგზავნა უამრავი ჯარი ხაზარების წინაარმდეგ ქალაქ ხილათში ვანის ტბის მახლობლად. არაბებმა მოიპოვეს რა ოცხვობრივი უპირატესობა განდევნეს ხაზარები აზერბაიჯანიდან. ამის შემდგომ ხაზარებმა ზავი დადეს არაბებთან. ზოგიერთმა ხაზარმა ისლამი მიიღო.

არაბულ – ხაზართა ომები გახდა აზერბაიჯანისათვის დამანგრეველი.



დააკომენტირე სიტუაცია აზერბაიჯანში არაბთა შემოსევის წინ.



იპოვნე რუკაზე სავალანის მთა.

LAYIPI

ეს ომები, თითქმის ასი სწლის განმავლობაში მიმდინარეობდნენ და VIII საუკუნის ბოლოს დამთავრდნენ.

მოსახლეობა ასევე ძლიერ დაზარალდა ბიზანტიურ სასანიდურ ომებშიც. ომებმა პრაქტიკულად მოსპვეს სახელმწიფოს ეკონომიკა. ამის მიუხედავად არაბები შეეჯახნენ ხალხის შეუპოვარ ბრძოლას თავისუფლებისათვის. განსაკუთრებით დიდი პროტესტები იყო სამხრეთით არდებილში და ჩრდილოეთით ბარდაში.

მაგრამ, არაბებს გააჩნდათ ძლიერი და დიდი ჯარი, მათ შემოიერთეს აზერბაიჯანის მიწები და გააერთიანეს სახალიფოში. არაბები კარგად ექცეოდნენ დაპყრობილ მოსახლეობას და არ სჩაგრავდნენ მათ. სხვადასხვა რელიგიური მწამსის გამო ვერ ხერხდებოდა ხალხის გაერთიანება ერთიანი მტრის წინააღმდეგ. აზერბაიჯანის მოსახლეობას შეეძლო გაერთიანება მხოლოდ ერთიანი რელიგიის გარშემო. ამის შედეგად აზერბაიჯანში იყო დამყარებული სტაბილურობა.

ისლამის დროშის ქვეშ. ისლამი არის ყველაზე ჰუმანური და სამართლიანი რელიგია. ისლამი ავალდებულებს ხალხს პატიოსანი საქმეების კეთებას, პატიოსნად იმოღვრო პური და გააღრმავო შენი საკუთარი ცოდნა.

ისლამი სწრაფად გავრცელდა სამხრეთ აზერბაიჯანის მიწებზე, ჩრდილოეთში – მუღანისა, მილის და ასევე სხვა რეგიონებში. ამ რეგიონებში სადაც უმრავლესობა მისდევდა ძველთურქულ ერთღმერთიანობას – ტენგრიანობას, უფრო დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ისლამს. ხოლო დასავლეთ ალბანეთში და მთებში, სადაც ძირითადად მოსახლეობა ქრისტიანობას მისდევდა უფრო ნელა მიმდინარეობდა ისლამიზაცია.

არაბთა შემოსევამ და სახელმწიფოს ისლამიზაციამ ვერ შესძლო სახელმწიფოში სხვა რელიგიების გაქრობა. მაგრამ, ისლამიზაციამ შექმნა სერიოზული და არნახულად შეცვალა სახელმწიფო. სახელმწიფოში დამყარდა ერთიანობა, რამაც ეკონომიკური და შიდა სტაბილურობა მოიტანა, დაიწყო კულტურის განვითარება. ისლამის მიღებამდე არსებულმა კულტურამ ცვლილებები განიცადა.



რა იცი ისლამის შესახებ? ჩაატარე მოკლე დისკუსია კლასში.



განიხილეთ ჩვენი ხალხის ძველებური ცოდნები და ტრადიციები

ქააბა



აზერბაიჯანი არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში



ისლამიზაციის პროცესთან დაკავშირებით კიდევ უფრო დაჩქარდა თურქული ტომების, რომელნიც აქ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, გაერთიანება და ასიმილაცია ადგილობრივ სხვა მოსახლეობასთან და ერთიანი ეთნოსის აზერბაიჯანული ეთნოსის ჩამოყალიბება დაჩქარდა.

ამის შედეგად აზერბაიჯანის მოსახლეობა დაახლოვდა ისლამურ კულტურას და მის ფასეულობებს. სახელმწიფოს უდიდეს ნაწილში ერთიანი რელიგიის ჩანმოყალიბებამ შესაძლებელი გახადა ხალხში საერთო ტრადიციებისა და წესჩვეულებების ჩამოყალიბება. გაფართოვდა აზერბაიჯანის კავშირები ისლამურ სამყაროსთან. ჩვენმა ხალხმა დიდი და მნიშვნელოვანი



შეადგინე მოთხრობა თემაზე „ისლამის გავრცელება აზერბაიჯანში“.

LAYI



წვლილი შეიტანა მუსულმანური კულტურის შექმნაში და მის აღორძინებაში.

ხაზარო –
არაბული ომი
(ძველი ნახატი)



რომელ რელიგიას ქადაგებს დღევანდელი აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობა? იჩენს თუ არა ჩვენი ხალხი ტოლერანტობას* სხვა რელიგიური მწამის მქონე ხალხებისადმი?



1. რა შედეგებიო ჰქონდა არაბთა დაპყრობებს?
2. რა მოვლენებს შეეძლო ჰქონოდა ადგილი შუსაუკუნეთში ერთიანი რწმენის არქონის შემთხვევაში?
3. რატომ შესძლო ისლამმა ცეცხლთაყვანისცემლობის გამოდევნა?
4. რაში მდებარეობს ისლამის როლი თურქი ხალხის ეთნოსის შექმნაში?



1. მოამზადე პრეზენტაცია ომის შემდგომ მძიმე მდგომარეობის შესახებ.
2. რასთან იყო დაკავშირებული ის ფაქტი რომ, აზერბაიჯანი იყო პლაცდარმი არაბულ – ხაზარტა ომებში? დაამტკიცე შენი აზრები.
3. გაანალიზე არაბთა დამოკიდებულება ხალხისადმი ტექსტზე დაყრდნობით.

ჩვენთვის ცნობილი იყო ის გარემოება რომ, ნადავლი – ეს არის მუსულმანთა მიერ იარაღის ძალით წართმეული საგნები, წილი – მშვიდობიანი ზავის შედეგად მიღებული საგნები.

... რაც შეეხება ნადვლს, მისი მეხუთე ნაწილი არის ხუმსა და ეკუთვნის ალაჰს და დაბრუნებული უნდა იყოს იმათთვის ვისაც ის უმახის: „მის წარმოგზავნილს, მის ნათესავებს, ოზლებს, დარიბებს, გზაში მყოფთ.“

„სახალიფოს ისტორიის ქრესტომატია“
შეადგინა და ტარგმნა ლ.ი. ნადირაძემ, მ., 1968 წ., გ 13.



*ტოლერანტობა – სხვა ხალხის აზრისადმი მოთმინებლური დამოკიდებულება, მათი რელიგიური მწამისათვის, მათი ტრადიციებისადმი

LAYI

4. განმანთავისუფლებელი ბრძოლა ბაბექის წინამძღვრობით

ისეთი მხედართმთავრების გმირობა, როგორებიც არიან ბაბექი და ჯავანშირი, ქმნიან პატრიოტიზმის სკოლას, ხელს უწყობენ საერთო ეროვნული სიმბოლოების ჩამოყალიბებას, სამშობლოსა და ხალხის მთლიანობას.

ჰეიდარ ალიევი



იუსიფი არის სახალხო არტისტის რასიმ ბალაევის მეზობელი. იგი თითქმის ყოველდღიურად ხედავს მას. მხატვრული ფილმის „ბაბექის“ ნახვის გავლენის ქვეშ იგი მთელი დღე ფიქრობდა ამ სახალხო გმირზე. იგი ფიქრობდა რომ, როდესაც გაიზრდება იგი ეგრეთივე გმირობას გამოიჩენს, როგორც ბაბექი და განთავისუფლებს თავის მშობლიურ მიწას – ყარაბაღს სომეხი დამპყრობლებისაგან.

რაზე მოგვითხრობს ფილმი „ბაბექი“, რომელმაც ესე შტააგონა იუსიფი გმირობებზე? რაში მდგომარეობს ბაბექის როლი ისტორიაში? ჩატარებული დისკუსიების შემდგომ ჩამოაყალიბე შენი აზრი.



ხურამიტები,
ბაბექი, ციხე-
სიმაგრე ბაზი, აფშინი
სახალიფო



როგორ სთვლი, ჩვენ რა გზით შევსძლებთ ყარაბაღის განთავისუფლებას, ომით თუ მშვიდობიანი გზით?

დიდი მხედართმთავრის ბრძოლა. არაბი მოსახლეობის ჩამოსახლება აზერბაიჯანში, სახალიფოს საგადასახადო სისტემამ და მოხელეთა თვითნებობამ კიდევ უფრო გაზარდა სახელმწიფოში ხალხის უკმაყოფილება. ადგილობრივი ფეოდალებისადმი შეღავათების გაუქმებამ ისინიც კი არაბთა წინაარმდეგ განაწყობა. აზერბაიჯანის მოსახლეობაში იზრდებოდა დამპყრობლების წინააღმდეგ შეუწყნარებლობა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად განმანთავისუფლებელ ბრძოლაში ითვლება ხურამიტა* გამოსვლა. ხურამიტები თითქმის 60 – წლიანი ბრძოლით სცდილობდნენ არა მხოლოდ სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენას, არამედ ასევე თანასწორობის დამყარებას ხალხში. ხურამიტები ითვლებოდნენ მაზდაკიდთა – მოძრაობა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ირანის ტერიტორიაზე IV საუკუნის



*ხურამი – განთავისუფლებელი, ნათელი, თავისუფალი, ფეხლევის ენაზე გამოიყენებოდა როგორც მზისა და ცეცხლის აღსანიშნავად

ბოლოდან VI საუკუნის დასაწყისამდე, იდეების გამგრძელებლებად. მაზდაკიდები ითხოვდნენ მხოლოდ ერთს – ქონების სამართლიან და თანასწორად განაწილებას ხალხში.

ხურამიტების მიზნები უფრო მაღალი იყო. ისინი იბრძოდნენ თავიანთი სამშობლოს – აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისათვის.

816 წელს ხურამიტებს სათავეში ჩაუდგა სახალხო გმირი და მხედართმთავარი ბაბექი. ბაბექმა თავის გარშემო შემოიკრიბა ძლიერი მხედართმთავრები. მუავია, აბდულა (ისინი ბაბექის ძმები იყვნენ), თარხანი, ადინი და სხვები ხელმძღვანელობდნენ ხურამიტთა რაზმებს.

განმანთავისუფლებელ ბრძოლაში, გლეხებთან და ღარიბებთან ერთად, ასევე ფეოდალებიც მონაწილეობდნენ. ბაბექის შტაბი განლაგებული იყო აზერბაიჯანულ ციხე – სიმაგრე ბაზში. ბაბექის მიერ მიღებულმა ზომებმა თავისი შედეგი გამოიტანეს. განმანთავისუფლებელმა ბრძოლამ მიიღო ფართო გამოხმაურება და გახდა საშიშ ძალად სახალიფოს წინააღმდეგ.


IX საუკუნის 20-ან წლებში აჯანყებულებმა გაანთავისუფლეს სიუნიქი, ბარდა, ბეილაქანი, ყარაბაღი და არანის რამოდენიმე ქალაქი.

ამ მომენტამდე ხურამიტებს არ სთვლიდნენ ძლიერ ძალად და ღირსეულ მოწინააღმდეგეებათ. მაგრამ, შემდგომ სახალიფოში შეშინდნენ.

819 წელს ხალიფამ პირველად გამოაგზავნა რეგულარული ჯარი ხურამიტების წინააღმდეგ. აჯანყებულებმა დაამარცხეს არაბები. ამ გამარჯვების შემდგომ, ხურამიტებმა კიდევ რამოდენიმეჯერ დაამარცხეს არაბები.

როდესაც ხალიფა დარწმუნდა ხურამიტთა ძალაში, მან უფრო ძლიერი ჯარი შეკრიბა. ორწლიანი მომზადების შემდგომ 829 წელს ხალიფამ გამოაგზავნა ის ხურამიტების შტაბის ციხე-სიმაგრე ბაზის ასაღებად. ბაბექის მხედართმთავრული ნიჭის გამო ხურამიტებმა კვლავ დაამარცხეს არაბები სისხლისმღვრელ ომში ხაშდადსარის მთის ძირას.

830 წელს კიდევ ერთ ბრძოლაში ხურამიტებმა დაამარცხეს არაბები და გაანთავისუფლეს ქალაქი



სახალხო გმირი
ბაბექი



რამი მდგომარეობდა ხურამიტების უპირატესობა? დაამტკიცე შენი აზრი.

ციხე-სიმაგრე
ბაზი



ხამადანი. იმის გამი რომ, ხამადანს გააჩნდა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა არაბთა მდგომარეობა კიდევ უფრო დასუსტდა. ხალიფამ შეწყვიტა ომი ბიზანტიასთან და მთელი ძალები ხურამიტებზე გადმოისროლა.

833 წელს ხამადანისთვის ბრძოლაში ბაბექი პირველად დამარცხდა.

დამარცხება, რომელმაც დაშალა სახალიფო. არაბთა სახალიფომ დახარჯა უამრავი თანხა და დაკარგა უამრავი ჯარისკაცი ხურამიტებთან ბრძოლაში. გამოჩენილი თურქი მხედართმთავარი აფშინი დაინიშნა ხურამიტების წინააღმდეგ ბრძოლის უფროსად. ამ პოლიტიკას ჰქონდა ძმათა ომის დაწყების მიზანი. აფშინმა ჩაატარა გარკვეული ღონისძიებები. მან გადაიტანა თავისი შტაბი ბარზანდში, რომელიც არც ისე მოშორებით იყო განლაგებული აჯანყების კერისაგან. გზები და ციხე-სიმაგრეები ბარზანდსა და არდებილს შორის აღდგენილ იქნა. ხურამიტთა რაზმებში შეიგზავნა მზვერავები.



შენ რომ ყოფილიყავი მხედართმთავარი რა ნაბიჯებს გადადგავდი გამარჯვების მისაღწევად?



ხურამიტები
ბრძოლაში

LAYI.H

აფშარის მიერ მიღებული ზომების წყალობით უპირატესობა არაბებისაკენ გადავიდა. ხურამიტები გამოიფიტნენ შეუჩრებელი ბრძოლების შედეგად. არაბთა გამლიერება გახდა ფეოდალების ბაბექისაგან დაშორების მიზეზი, რომელნიც მანამდე ბაბექის მოკავშირეები იყვნენ.

ყველაფერი ამის შედეგად ხურამიტებმა დაკარგეს თავისი საბრძოლო განწყობა. 836 წელს ხურამიტებმა, კვლავ ბაბექის ტაქტიკით იხელმძღვანელეს და კვლავ დაშდადსარის მთასთან გაანადგურეს უამრავი არაბი. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს უამრავი იარაღი, სურსათი და ფული.

ხალიფამ კვლავ გამოაგზავნა ახალი ჯარი და ფული აფშარის დასახმარებლად. 837 წლის ზაფხულში მტრის ჯარი მოუახლოვდა ბაზის ციხე – სიმაგრეს და ალყაში მოაქცია ის. ორივე მხარე მზად იყო ბრძოლისათვის. ამ დროს აფშინმა შესთავაზა ბაბექს ზავის დადება. იმპერიის მიზანს წარმოადგენდა ბაბექისა და მისი მომხრეების გამოყენება ბიზანტიასთან ომში. ბაბექმა უარი განაცხადა ზავზე და თავისი აზრის შეცვლაზე. ბაბექმა დაიწყო ბრძოლა კარგად შეიქრადებულ მტერთან. არაბები იყენებდნენ კატაპულტებს* ბაზის კედლების დასანგრევად. ტყვედ ჩავარდნილებს შორის ასევე ბაბექის ოჯახის წევრებიც იყვნენ.


ბაბექმა გადალახა არაქსი და აღმოჩნდა შრდილო აზერბაიჯანში – არანში. მის მიზანს წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერატორთან გაერთიანება, ჯარის შეკრება და ახალი ბრძოლის გაჩაღება. ბაბექის დასაჭერად ხალიფამ ახალი ემშაკობა მოიფიქრა. გამოცხადდა რომ, ის ვინც ბაბექს მიჰგვრიდა მას 2 მილიონ დირჰამს* მიიღებდა.

ერთმა ფეოდალმა დაპატიჟა ბაბექი თავისთან. შემდგომ კი გადასცა იგი არაბებს.



*კატაპულტა – მოწყობილობა კედლების დასანგრევად, ქვებისა და თხევადი საწვავის საროლად

*დირჰამი – ვერცხლის მონეტა



ხაშდადსარის ბრძოლის სქემა 836 წელი



აღწერეთ ბრძოლა რუკის საშუალებით



როგორ აფშარს, როგორც მხედართმთავარს?



ბაბექი: – რა თქმა უნდა შენ უარს არ იტყვი ჩემი სისხლის დაღვრაზე. მე მეშინი მხოლოდ იმისი რომ, როცა თავს მომაჭრი იგი ფერს დაკარგავს და ხალხს შეიძლება ეგონოს რომ, მე შემეშინდა, ამიტომაც წავისვი სისხლი სახეზე. მოტასიმი: – შენი პატიება რომ სეიძლებოდეს მარტო ამ სიმამაცისათვის გაპატიებდი ყველა შენს მიერ ჩადენილ ქმედებას.

ს.ნეფესი

ბაბექი აფშინთან ბარზანდში მიიყვანეს. შემდგომ ქალაქ სამირუში გადაიყვანეს.

აფშინმა ბაბექს ბოლო სურვილი შეუსრულა. მან მისცა ბაბექს საშუალება ბაზის ციხე – სიმაგრესთან დამშვიდობების საშუალება. 838 წელს ხალიფას ბრძანებით ბაბექი სიკვდილით იქნა დასჯილი.

როგორც სხვა შუასაუკუნეთის აჯანყებებმა ასევე ხურამიტთა აჯანყებაც მარცხით დამთავრდა. ამ დამარცხების მიზეზი იყო ფეოდალების ბრალი, რომელთაც ფული უფრო მეტად უყვარდათ ვიდრე სამშობლო და მისი დამოუკიდებლობა. ერთ -ერთი მიზეზი ისიც იყო რომ, ხურამიტებთან საბრზოლველად გამოგზავნილი იყო სახალიფოს ყველაზე ძლიერი ჯარი. ამის გამო ძალთა თანაფარდობა გაიზარდა არაბების სასარგებლოდ.

ამ აჯანყების მასშტაბები უზარმაზარი იყო. ხურამიტებმა თავისი მრავალწლიანი აჯანყების შედეგად სახალიფოს მიაყენეს უზარმაზარი დანაკარგი. განადგურებულნი იყვნენ ათასობით არაბი ჯარისკაცები. მათ შორის იყო სახალიფოს უამრავი მხედარტმტკავარი.

ხურამიტთა აჯანყებამ ზიზგი მისცა ხალიფატის სხვა ხალხებს. სახალხო – განმანთავისუფლებელმა ბრძოლამ გამოუუსწორებელი ზიანი მიაყენა არაბთა სახალიფოს.

IX საუკუნის მეორე ნახევრიდან არაბთა სახალიფოს ტერიტორიაზე შეიქმნა უამრავი დამოუკიდებელი სახელმწიფო.



1. რატომ მიტრიალდა ხალხი არაბებისაგან?
2. რატომ გააგზავნა ხალიფამ ბაბექის წინააღმდეგ თურქი მხედართმთავარი?
3. რაში მდგომარეობდა განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა?
4. რა იცი ბაზის ციხე – სიმაგრეზე? განიხილე შენ თანაკლასელებთან და შეაჯამე ნაშრომები.
5. რა აქვთ საერთო ჯავანშირსა და ბაბექს?



1. განმარტე ბაბექის გამარჯვების მიზეზი.
2. ტექსტის საფუძველზე შეისწავლე ხურამიტების დამარცხების მიზეზები.
3. გაანალიზე წარმოდგენილი წყარო.
4. ტექსტის საფუძველზე შეადგინე ხურამიტთა მოძრაობის ქრონოლოგია და ასახე იგი ცხრილში.

LAYERS

აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივობის აღდგენა

5. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ტრადიციების აღდგენა



გიუნელი ოჯახთან ერთად ჩამოვიდა სტუმრად ბაქოში ტაშკენტიდან. ისინი გავიდნენ ქალაქში ღირსშესანიშნაობების სანახავად. ამაში მათ ეხმარებოდა უფური და დედამისი. გიუნელმა დაინახა შირვანშაჰთა სასახლე და ვერ დამალა აღფრთოვანება. მან იკითხა თუ რომელ პერიოდს ეკუთვნოდა კომპლექსი. უფურმა ვერ გასცა პასუხი, უფურის დედამ კი, რომელიც ისტორიის მასწავლებელი იყო გასცა დაწვრილებითი პასუხი.

რას ფიქრობ, რა პასუხი გასცა უფურის დედამ შირვანშაჰთა სასახლეს თაობაზე? რომელ პერიოდს მიეკუთვნება ამ სახელმწიფოს დაარსება? გამოთქვი შენი აზრი.

სახელმწიფოს ტრადიციების გაგრძელება. IX საუკუნეში, ბაბექის მეთაურობით, ხურამიტებმა თავისი მრავალწლიანი აჯანყების შედეგად სახალიფოს მიაყენეს უზარმაზარი დანაკარგი და შეასუსტეს იგი. ხურამიტთა აჯანყებამ ბიძგი მისცა ხალიფატის სხვა ხალხებს სახალხო-განმანთავისუფლებელმა ბრძოლის დაწყებაში. ფეოდალური ურთიერთობების გაძლიერების შემდგომ ცალკეული ფეოდალები უარს აცხადებდნენ ერთიან ცენტრზე დამოკიდებულებაზე. შიდა განხეთქილებებმაც ასევე დაასუსტა სახალიფო. არაბი მეფისნაცვლები ისწრაფებოდნენ დამოუკიდებლობისაკენ.

აზერბაიჯანი იყო ბრძოლის ერთ – ერთი ცენტრი სახალიფოს წინააღმდეგ. ბრძოლამ სახალიფოს წინააღმდეგ შეასუსტა იმპერია. აზერბაიჯანში შეიქმნა რიგი სახელმწიფოები: შირვანშაჰთა, საჯიდთა, შედადიანებთა, რავადიდთა. აღდგა აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი ტრადიციები. ამ სახელმწიფოებთან ერთად შეიქმნა ასევე წვრილი სახელმწიფოებიც ისეთი როგორებიცაა: შირვანის მმართველობა, დერბენტისა და ტიფლისის საამიროები. ყველა ამ სახელმწიფოში ისლამი იყო სახელმწიფო რელიგია, რომელიც ჩამოყა-

ემირატი, მაზიადიდები, შირვანი, დერბენტის გასსვლელი, ახსიტანი I

?
გაიხსენე: ვის უმახოდენ მეფისნაცვალს?

?
რას ნიშნავს „სახელმწიფოს ტრადიციები“? გამოთქვი შენი აზრი.

LAYBY

სირვანშაჰთა სახელმწიფო IX–XI საუკუნეებში



ლიბდა ერთიანი თურქული ენა, ერთიანი მუსულმანური კულტურა, რაც იყო აზერბაიჯანელი ხალხის ფორმირების ძირითადი ფაქტორი.

როგორ შეიქმნა „სირვანშაჰთა“ ტიტული? სირვან-საჰთა სახელმწიფომ სხვა ახლადშექმნილი სახელმწიფოებისგან განსხვავებით ყველაზე დიდხანს იარსება. ამ სახელმწიფოს ტერიტორია განლაგდა დერბენტიდან მტკვრამდე. 861 წელს ჰეისამ იბნ ხალიდმა (861-908) გამოაცხადა სირვანის დამოუკიდებლობა და მიიღო „სირვანშაჰთა“ ტიტული. იგი იყო სირვანის პირველი მმართველის იეზიდ იბნ მაზიადის შვილიშვილი.

სახელმწიფოს პირველ დედაქალაქად გამოცხადდა სირვანი. ეს დინასტია ისტორიაში ცნობილია, როგორც მაზიადთა დინასტია. 918 წელს სირვანშაჰ აბუ ტახირმა აღადგინა შამახა, რომელსაც გააჩნდა კარგი გეოგრაფიული მდგომარეობა და გადაიტანა იქ დედაქალაქი. მაზიადთა წარმატებული პოლიტიკის შედეგად შექი, ბეილაქანი, გაბალა, ბარდა, საზრანი და სხვა ტერიტორიები სხვადასხვა პერიოდში დაემორჩილენ სირვანშაჰებს.

აღნიშნეთ თანამედროვე რუკაზე სირვანშაჰთა ტერიტორიები

LAYIPI



დერბენტის ციხე
– სიმაგრე



დირჰემი – შირვანშაჰთა ვერცხლის მონეტა.
X–XI საუკუნეები

სახელმწიფოს საზღვრები პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ხშირად იცვლებოდა.

დერბენტის საამირო, რომელსაც გააჩნდა სასარგებლო სამხედრო – სტრატეგიული პოზიციები მიერთებული იყო შირვანშაჰთა სამეფოზე. შირვანშაჰებმა გაარემონტეს და გააძლიერეს ციხის ყრილი და ციხის კარიბჭე.

IX საუკუნის ბოლოს – X საუკუნის დასაწყისში შირვანშაჰები ემორჩილებოდნენ საჯიდებს, შემდგომ კი სალარიდებს. მაზიადიდებმა შეინარჩუნეს შიდა დამოუკიდებლობა და უხდიდნენ ხარკს.

შირვანშაჰები XI–XII საუკუნეებში. ხანგრძლივი წინააღმდეგობა თურქ-სელჩუკთა ლაშქრობებისას არ იძლეოდა არანაირ შედეგს. ფარიზურს I (1063–1096), რომელიც დაემორჩილა სელჩუკებს 1066 წელს ჩამოერთვა შირვანშაჰთა ტიტული. მაგრამ, შირვანშაჰთა სახელმწიფო არ დაეცა, მან შესძლო თავისი შიდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

შირვანშაჰებმა, რომელიც დაემორჩილენ სელჩუკთა იმპერატორს XII საუკუნის დასაწყისში შეცვალეს



გაიხსენე დერბენტის ციხის ყრილის გაკეთების მიზანი. დაასაბუთე ამ ყრილის აუცილებლობა.

LAYMAN



მანუჩერ II მმართველობის პერიოდის შირვანშაჰთა მონეტა



ჩვენი სამშობლოს რომელი ტერიტორიები იმყოფება ოკუპაციის ქვეშ?



ეხლა რა ურთიერთობები გვაქვს საქართველოსთან? განიხილეთ ეს საკითხი.

პოლიტიკური კურსი. მანუჩერ III (1120–1160) ისარგებლა რა ერაც–სელჩუკთა იმპერიის შესუსტებით უარი განაცხადა ყოველწლიური ხარკის გადახდაზე. მან მჭიდრო კავშირი დაამყარა ქართველებთან. იმ დროს საქართველოს მეფე დავით IV (აღმაშენებელი) ეწეოდა აგრესიულ პოლიტიკას და აფართოვებდა თავის სახდვრებს დასავლეთით. იგი არაერთხელ დაესხა შირვანს. მანუჩერ III დაქორწინებული იყო მეფის ქალიშვილზე. ნათესავური კავშირების მიუხედავად ქართველების თავდასხმები მაინც გრძელდებოდნენ. დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ თავდასხმები შეწყდა. შირვანშაჰთა სახელმწიფოში დაისუფევა სტაბილურობამ.

1160 წელს ათაბეგ შამსადინ ელდენიზის დახმარებით ხელისუფლებაში მოსულმა ახსიტან I, მამამისისგან განსხვავებით თურქ – სელჩუკებთან შექმნა მშვენიერი ურთიერთობები. ახსიტან I, შესძლო კარგი ურთიერთობების აწყობა როგორც ქართველებთან ასევე ელდენიზებთანაც, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა სახელმწიფო. გარემონტდა დერბენტის ციხე. ქვეყანაში აშენდა უამრავი ციხე-სიმაგრე.



1192 წლის შამახის მიწისძვრის შემდეგ დედაქალაქი გადატანილი იქნა ქალაქ ბაქოში



1175 წელს შირვანსაჰებს თავს დაესხა სლავების ფლოტი. მათ განდევნეს მტერი სახელმწიფოდან. იმ დროს ქართველები დაეხმარნენ შირვანსახის სახელმწიფოს. ახსიტან I და მისი შთამომავლობის დროს პოლიტიკურმა სტაბილურობამ გააძლიერა და ააყვავა შირვანშაჰთა სახელმწიფო.



როგორ აფასებ სამხედრო დახმარებას მეზობელი ქვეყნისაგან?



1. რა გახდა არაბთა სახალიფოს შესუსტების მიზეზები? როგორ ფიქრობ რა როლი ითამაშეს ხურამიტებმა ამაში?
2. რომელი სახელმწიფოებისგან იყო დამოკიდებული შირვანშაჰები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში?
3. რასთან იყო დაკავშირებული შირვანშაჰების საზღვრების შეცვლა?
4. რა დამოკიდებულება ჰქონდათ შირვანშაჰებს ელდანიზელებთან?



1. განმარტე მცნება „შიდა დამოუკიდებლობა“.
2. იპოვნე რუკაზე ტერიტორიები, რომელზეც მოთხრობილია ტექსტში.
3. აღნიშნე ისრით დამოუკიდებელი სახელწიფოს ფაქტორები შირვანშაჰთა მმართველობის პერიოდში. (ისარი ზევით დამოუკიდებელი, ისარი ქვევით ნახევარდამოკიდებული). მაგალითად: ხეისამიზნ ხალიდი
4. შეადგინე შირვანსაჰთა სახელმწიფოს ქრონოლოგიური ცხრილი.

ლეგენდა შამახას სახელწოდების წარმოშობაზე

ამბობენ რომ, ძველად ქალაქ შამის მმართველი ჩამოვიდა შამახაში სტუმრად. ქალაქის სილამაზემ შამი გაახსენა. მან უთხრა შამახის მმართველს: მე, შენი ძველი მეგობარი ვარ და პირველად ჩამოვდივარ შენთან სტუმრად. თქვენი ქალაქი ძალიან ჰგავს შამს. დღეიდან ჩვენი ძმობის უკვდავსაყოფად ამ ქალაქს „შამ ახი“ ანუ „შამის ძმა“ უწოდოთ.

... მეორე ლეგენდის თანახმად, აქ უმართავს მრავალ ხელისუფალს. აშენებულ ქალაქს შაჰის საპატივსაცემოდ დაარქვეს „შაჰ მაჰი“. „შაჰი“ – ნიშნავს დიდს, „მაჰ“ – ნიშნავს ქალაქს, ანუ „შაჰის ქალაქს“. თანდათანობით ქალაქის გამოთქმა შეიცვალა და გახდა ჩვენთვის ნაცნობი შამახა... სულაც რომ, ეს ლეგენდა იყოს მაინც საინტერესოა.

შამახა. ბაქო, 1994 წ., გ -6-7.

LAYIIT

6. აზერბაიჯანი ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში



ერთ-ერთ ტელეგადაცემაში წამყვანმა გამოიყენა გამოთქმა: „გაყოფილი აზერბაიჯანი“. როდესაც ფარახის ბებია გაიგონა ეს ღრმად ამოისუნთქა. ფარახი ჯერ ვერაფერს ვერ მიხვდა. მან ბებიას გაკვირვებული სახით შეხედა. ბებია:

– მომისმინე, შვილო, შეხედე რამხელა იყო ჩვენი სახელმწიფო. – ფარახმა ინტერესით დაიწყო გადაცემის ყურება. გადაცემის ყურების დროს ფარახს გაუჩნდა

კითხვები: „რამხელა იყო ჩვენი სამშობლო? რატომ იმყოფება გაყოფილ მდგომარეობაში?“

შეეცადეთ ფარახს გასცეთ პასუხი.

ისლამის გავრცელებამ, როგორც სამხრეთში ასევე ჩრდილოეთში კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი ხალხის ერთობა. როგორი გავლენა იქონია არაბთა სახალიფოს დასუსტებამ ამ ერთობაზე? ცუდი ხომ არ იქნებოდა გამოკვლევის ჩატარება ისტორიული ჭეშმარიტების გამოსაკვლევად?



საჯიდები,
ს ა ვ ა ჭ რ ო
ხომალდი, მარაგა,
სალარიდები, ზენ-
ჯანი

როდის შექმნეს საჯიდებმა სახელმწიფო აზერბაიჯანში? სახალიფოს შესუსტების დროს გაძლიერდა თურქული საჯიდთა დინასტია. დინასტიის დამაარსებელი იყო სახალიფოს მხედართმთავარი აბუ საჯ დიდდადი. ამ მხედართმთავარს თავისი გმირობებისათვის აზერბაიჯანის მიწები ხალიფამ გასამსჯელოს სახით გადასცა. საჯიდთა სახელმწიფო დაარსდა 898 წელს. საჯიდებმა არაერთხელ დაამარცხეს უცხოელები, რომელთაც სურდათ დასავლეთ აზერბაიჯანის მიწების დაპყრობა და პირიქით მათ აყენებდნენ დამოკიდებულ მდგომარეობაში. უკვე IX საუკუნის ბოლოდან ისინი ჭრიდნენ მონეტებს მუჰამედ იბნ საჯის სახელით.

საჯიდთა მმართველი დედაქალაქით მარაგაში გახდა იუსიფ იბნ საჯი. 912 წელს მან უარი განაცხადა ხარკის სახალიფოს ხაზინაში გადახდაზე. სომხებმა და ქართველებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს საჯიდებს დამორჩილებულიყვნენ, დაიწყეს საომარი მოქმედებები იუსიფ იბნ საჯის წინააღმდეგ. დაბილის დაპყრობის შემდეგ იუსიფ იბნ საჯმა ტიფლისიც აიღო. მაგ დროისათვის მან უკვე შემოიერთა შირვა-

?


ვინ იყვნენ უცხოელები, რომელთაც სურდათ აზერბაიჯანის დასავლეთ მიწების ხელში ჩაგდება?

ნშაჰთა სახელმწიფოც. მთელი აზერბაიჯანული მიწები ხამადანიდან და ზენჯანიდან დერბენტამდე, ანისიდან და დაბილიდან დასავლეთით კასპიის ზღვამდე საჯიდებმა ერთიან სახელმწიფოდ აქციეს.


იუსიფ იბნ საჯმა, რომელიც ატარებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას, სახელმწიფო საზღვრების გაძლიერების მიზნით, გააძლიერა და გაარემონტა დერბენტის ყრილი. იუსიფ იბნ საჯის მმართველობის პერიოდში დედაქალაქი გადატანილი იყო მარაგიდან არღებილში.



აბუ საჯ დივადი




აზერბაიჯანი X საუკუნეში



?
შენს აზრით რას ნიშნავს „დამოუკიდებელი პოლიტიკა“?

X საუკუნის დასაწყისში საჯიდთა სახელმწიფო, რომელიც მიცავდა მთლიანი აზერბაიჯანის მიწებს, შიდა არეულობების გამო დასუსტდა.

აზერბაიჯანის მიწები კვლავ ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში. შიდა პოლიტიკურმა განხეთ-



ქილებამ ხელსაყრელი შანსი მისცა მარზბან იბნ მუჰამედს სალარიდთა დინასტიიდან. 941 წელს მარზბან იბნ მუჰამედმა (941–957) ბრძოლაში სძლია საჯიდთა უკანასკნელ მმართველს ჯეისემს. დედაქალაქის – არდებილის ალებით, მან დაასრულა საჯიდთა მართველობა და შექმნა სალარიდთა სახელმწიფო. სალარიდებმა დასვლეთით კიდევ გაზარდეს სახელმწიფოს საზღვრები.



მარზბან იბნ მუჰამედი

მარზბანმა დაიმორჩილა შირვანშაჰთა სახელმწიფო და დაიპყრო დერბენტი. მან დაიმორჩილა აღმოსავლეთ საქართველო. ამის შედეგად, სალარიდთა სახელმწიფოს საზღვრები ჩრდილოეთით დერბენტის გასასვლელიდან სამხრეთით ტიგროსისა და ევფრატის ზემო დინებამდე გაიწელა. სალარიდთა მმართველობის დროს კასპის ზღვაზე ისევ დაიწყეს ცურვა სავაჭრო გენებმა. აზერბაიჯანი აღიარებული იყო, როგორც ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო ახლო და შუა აღმოსავლეთში, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

მარზბან იბნ მუჰამედის სიკვდილის შემდეგ მისმა შვილებმა დაიწყეს ბრძოლა ტახტისათვის.

ხელისუფლებაში მოსულმა ვახსუდანმა გააძლიერა თავისი ხელისუფლება ფეოდალების მეშვეობით. ცოტა ხანში ხელისუფლებაში მოვიდა სალარი იბრაჰიმი. მან ვერ შესძლო სახელმწიფო სადავეების ხელში დაჭერა და შედადიანებთა სახელმწიფოს დაარსებით მან განჯა და მისი გარშემო მიწები დაკარგა. მიწების

?
 ეხლა რა მიზნით დაცურავენ გემები კასპის ზღვაზე?



დირჰემი. საჯიდთა სახელმწიფოს ვერცხლის მონეტა

ჯეისემის მმართველობის საჯიდთა სახელმწიფოს ვერცხლის მონეტა

დირჰემი. სალარიდთა სახელმწიფოს ვერცხლის მონეტა

LAYI

გადაცემის პოლიტიკამაც, ფეოდალების თავის მომხრეებად საქცევად, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. რავადიდთა გაზლიერებამ დააჩქარა სალარიდების დაცემა.



1. რა ზომები მიიღო იუსიფ იბნ საჯმა სახელმწიფო სახღვრების გასაძლიერებლად?
2. რა ფაქტები შეგიძლია მოიყვანო იმის დასამტკიცებლად, რომ საჯიდები არ ემორჩილებდნენ სახალიფოს?
3. რაში იყო საჯიდებისა და სალარიდების საერთო?
4. რამ განაპირობა სალარიდთა დასუსტება?



1. გაანალიზე მიზეზები, თუ რის გამო ხალიფას მიერ ნაჩუქარი მიწები გადაიქცა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ?
2. დაამტკიცე ის გარემოება, რომ საჯიდთა სახელმწიფო აზერბაიჯანული იყო.
3. ჩამოთვალე ყველა ის ზომები, რომელიც მიიღეს სალარიდებმა სახელმწიფო ერთიანობის შესანარჩუნებლად.
4. დააკომენტირე ყველა განსხვავებები საჯიდთა და სალარიდთა სახელმწიფო მმართველობაში.

7. ორი აზერბაიჯანული სახელმწიფო გაერთიანებული ხუდაფერის ხიდით



ზიძია აიდინს უყვარს გადაცემა „ნოვოსტი“. ერთ-ერთ რადიოგადაცემაში მან გაიგო ესეთი ფრაზა: „საუკუნეთა განმავლობაში თავრიზი იყო აზერბაიჯანული თურქულ-მუსულმანური იმპერიის დედაქალაქი“.

ზიძია აიდინს ძალიან აინტერესებს ისტორია. თავისუფალ დროს იგი კითხულობს ისტორიულ ლიტერატურას, უყურებს ისტორიულ გადაცემებს. მან იცოდა, რომ თავრიზი იყო უამრავი სახელმწიფოს დედაქალაქი.

როგორ იცი ქალაქი თავრიზი როდის გახდა პირველად დედაქალაქად? ვინ აირჩია თავრიზი დედაქალაქად? განიხილეთ ეს საკითხები.

საჯიდთა და სალარიდთა სახელმწიფოები, რომელნიც შეიქმნენ არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ, მართავდნენ აზერბაიჯანის მიწებს ერთიანი ცენტრიდან. როგორი პოლიტიკური ვითარება იყო აზერბაიჯანში ამ სახელმწიფოთა დაცემის შემდეგ? ამ საკითხებზე პასუხის გასაცემად მივმართოთ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიას.

თავრიზი გახდა პირველი დედაქალაქი. ერთ – ერთ ძლიერ ფეოდალურ დინასტიას აზერბაიჯანში წარმოადგენდნენ რავადიდები. არაბთა მმართველობის დროს ბევრი არაბული ტომები გადმოსახლეს აზერბაიჯანში. მათი ნაწილი დასახლდა **მარაგაში, ტავრიზში, ყარადაღში** და **ახარში**. აზერბაიჯანულ ადგილობრივ მოსახლეობასთან აღრევის შემდეგ მათ VIII საუკუნის ბოლოს აზერბაიჯანის სამხრეთში შექმნეს რაზადიდთა საამირო. სალარიდთა დასუსტების დროს, ამ გაძლიერებულმა დინასტიამ გამოიყენა ხელსაყრელი სიტუაცია. რავადიდ აზულხიჯრამ 981 წელს ტახტიდან ჩამოაგდო სალარიდთა ბოლო მმართველი იბრაჰიმ იბნ მარზბანი. მან შექმნა რავადიდთა სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი არდებილში იყო. რავადიდებმა, რომლის გავლენის ქვეშ მთელი სამხრეთ აზერბაიჯანი იყო დაიმორჩილეს მულანი.

ამ დროს დედაქალაქი არდებილიდან თავრიზში იქნა გადმოტანილი. ქალაქ თავრიზმა, რომელიც

რავადიდები, თავრიზი, შედადიანები, დაბილის საამირო, განჯის კარიბჭე



?

კიდევ ვინ ანხორ ცილებდა ა გადასახლების პოლიტიკას? რა მიზანს ემსახურებოდა ეს პოლიტიკა? გამოთქვი შენი აზრი.

LAYBY



ჩამოთვალე თურქული ტომები, რომელნიც სახლობენ აზერბაიჯანში

საქარავნო-სავაჭრო გზების გასაყარზე იმყოფებოდა, სწრაფად დაიწყო განვითარება. ქალაქი იზრდებოდა და მშვენიერდებოდა.

იმის მიუხედავად, რომ რავადიდები არაბული ქარმოშობისანი იყვნენ ისინი უკვე გათურქებულნი იყვნენ. მათი მმართველობის პერიოდში ადგილობრივი თურქული ტომები გაძლიერდნენ. 1028 წელს რავადინ ვაჰსუდანმა (1020–1059) გასცა ნებართვა

XIV საუკუნის ქალაქი თავრიზი (ძველი ნახატი)



დირჰემი. შედადიანებთა სახელმწიფოს ვერცხლის მონეტა

აზერბაიჯანში ხორასანიდან ახალი ოღუზო – თურქების ნაკადის გადმოსახლებაზე. ახალი ნაკადი გახდა მიზეზი თურქული ეთნოსის გასაძლიერებლად აზერბაიჯანში.

განჯის შესასვლელი კარიბჭე ისეთივე გამძლე, როგორც სახელმწიფო. სალარიდთა შესუსტებასთან ერთად გაძლიერება დაიწყო შედადიანებმა, რომელიც ჩრდილოეთ აზერბაიჯანში დაბილის მახლობლად ცხოვრობდნენ. მუჰამედ იბნ შედადიდი გახდა დამოუკიდებელი დაბილის სამიროს უფროსი. შედადიანებმა შემდგომ განჯა დაიპყრეს და 971 წელს შექმნეს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო. განჯა გახდა ამ სახელმწიფოს დედაქალაქი.

ფაზლ იბნ მუჰამადის (985–1030) მმართველობის დროს შედადიანებთა სახელმწიფო კიდევ უფრო

LAYI



განჯის
კარიბჭე



მიმდინარეობს თუ არა თქვენს რაიონში (ქალაქში, სოფელში) ამჟამად კეთილმოწყობის სამუშაოები? შენდება თუ არა ხიდები? გამოთქვი შენი აზრები ამ მშენებლობის შესახებ?

ვითარება – გაღრმავება ჩრდილოეთში და სამხრეთის შორის.

შედადიანი ფაზლ იბნ მუჰამედის მმართველობის დროს დამყარდა თბილი ურთიერთობები შირვან-შაჰებთან. ასევე დამყარდა ნათესავური კავშირები ამ ორ დინასტიას შორის. ფაზლ იბნ მუჰამედმა დაამყარა თბილი ურთიერთობები ასევე სამხრეთ მეზობლებთან – რავადიდებთანაც და ჩრდილო მეზობლებთან – ტიფლისის საამიროსთან.

სელჩუკთა ახალმა ნაკადმა შედადიანთა სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალი გააძლიერა. 1037 წელს განადგურებული იქნა ბიზანტიური ჯარი, რომელიც დაბილის ასაღებად დაილაშქრა. ამის შემდეგ ასევე ჩაიშალა ქართველებისა და ბიზანტიელების მცდელობა დაეპყროთ თიფლისის საამირო და აეღოთ ტიფლისი.

შედადიანთა სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა აბულასვარ შუვარის (1049–1067) მმართველობის დროს. ამით შემოღობული ქართველები თავს ესხმოდნენ აზერბაიჯანის მიწებს. აბულასვარ შუვარმა, განჯის გაძლიერების მიზნით, ბრძანა ქალაქის გარშემო თავდაცვითი ყრილების მოწყობა და ციხის კედლების აშენება.

1063 წელს აბულასვარ შუვარმა დაუკვეთა ხელ-ოსან იბრაჰიმ ოსმანოლლუს განჯის ციხე – სიმაგრის კარების დამზადება. ქალაქის თავდაცვითუნარიანობა კიდევ უფრო გაიზარდა.

სომეხი და ქართველი ფეოდალები ბიზანტიის დახმარებით ოცნებობდნენ აზერბაიჯანული მიწების დაპყრობაზე. შედადიანები ებრძოდნენ მათ გაერთიანებულ ძალებს თურქულ ტომებთან ერთად და ასევე აზერბაიჯანში ახლად ჩამოსულ თურქ – სელჩუკებთან ერთად.



რომელ თურქულენოვან სახელმწიფოებთან აქვს კავშირი დღევანდელ სახელმწიფოს?



1. რატომ აირჩიეს რავადიდებმა ქალაქი თავრიზი თავის დედაქალაქად?
2. რა დადებითი მხარეები ჰქონდა თურქ – სელჩუკთა ჩამოსახლებას აზერბაიჯანში?
3. რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ხუდაფას ხიდს?
4. რა მიზნით იქნა შექმნილი განჯის კარიბჭე?



1. დაწერე ესე სახელწოდებით “როგორ გამოიყენა რავადიდთა დინასტიამ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა”.
2. გაანალიზე შედადიდთა მოქმედებები განხორციელებულნი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ცრდილო აზერბაიჯანში.
3. ჩამოაყალიბე შედადიანთა და რავადიდთა სახელმწიფოების ისტორიული როლი.

LAYIH

8. სლავების თავდასხმები



აზერბაიჯანის ისტორიული მიწები, ყოველთვის იყვნენ გადამთიელების თავდასხმის მიზანი. თანამედროვე სასომხეთის აგრესია არაფრით არ გამოირჩევა წარსული პოლიტიკისგან. გადამთიელების შემოჭრის ფაქტები ასახულია ჩვენს ისტორიაში. როგორ მიმდინარეობდა სლავურ – რუსული თავდასხმები? რასი იყო მათი მიზანი? ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია ისტორიული გამოკვლევების ჩატარება და ამ ფაქტების შესწავლა.

განიხილე მეგობრებთან საკითხები. აღნიშნე რვეულში შესაძლო მიზეზები.



სლავები, არანი, კასპის ზღვის კუნძულები, სამხედრო ფლოტი



განიხილეთ მონაცემები არაბული წყაროებიდან.

სიხრზე, რომელმაც ყაჩაღობამდე მიიყვანა. სახალიფოს დაშლამ, სლავებს მოუტანა შესაძლებლობა კასპიის ზღვის ოლქებში თავდასხმების განსახორციელებლად. სლავებისათვის, რომლებიც ვაჭრობდნენ მარშრუტით დონი – ვოლგა – კასპი, ეს ადგილები კარგად ნაცნობები იყვნენ. აზერბაიჯანი და მისი უხვმოსავლიანი მიწები წარმოადგენდნენ საოცნებო ნადავლს. იმ პერიოდში კიევის მმართველის ჯარის მეომრებს „რუსებს“ უძახოდნენ. არაბულ წყაროებში მათ ასევე „რუსებს“ უწოდებდნენ. IX საუკუნის ბოლოდან სლავებმა დაიწყეს თავიანთი თავდასხმები აზერბაიჯანზე. X საუკუნეში მათი თავდასხმები კიდევ უფრო გაიზარდნენ.

914 წელს სლავებმა დალაშქრეს კასპიის სანაპიროები. ეს თავდასხმა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ რეგულარული ჯარები განსხვავდებოდნენ სხვა წინა თავდასხმებისაგან. ამჯერად მათ გამოიყენეს უფრო ძლიერი ფლოტი. იმისათვის, რომ გაეარათ ხაზართა კაგანატის მიწები, სლავები შეპირდნენ ხაზარებს რომ, ნადავლის ნახევარს მათ გაუნაწილებდნენ. მათი თანხმობის მიღების შემდგომ სლავები გადავიდნენ შეტევაზე. მათ შემზარავი თავდასხმა მოახდინეს აბშერონის ნახევარკუნძულზე. სლავები განაგრძნენ კუნძულ პირალახზე, ზირაზე, ზენბილზე, სარიზე და სხვა კუნძულებზე.

იქიდან ისინი თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ მათ, ტყვეთ მიჰყავდათ ქალები და ბავშვები. დაბრუნებული სლავები კასპიის ჩრდილოეთ ნაწილში შეეჯახნენ თურქ-მუსულმანურ ჯარს. განადგურებული სლავები განდევნილი იყვნენ ქვეყნიდან. მართალია ამ დამარცხებამ სლავები დაამოშმინა, მაგრამ თავიანთ განძრახვაზე მათ საბოლოოდ უარი არ უთქვამთ.

„არანის დედას“ - ბარდას ტრადედია. ოცდაათწლიანი შესვენების შემდგომ 944 წელს სლავებმა ისევ დალაშქრეს კასპი. ამჯერად მათ ბარდა აინტერესებდათ. შუა საუკუნეებში ქალაქი ბარდა, რომელიც განლაგებულია უძველეს სავაჭრო საქარავნო გზების გასაყარზე, იყო ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქალაქი. სლავები სთვლიდნენ ბარდას, რომელსაც „არანის დედათ“ მოიხსენებდნენ, კავკასიის უმთავრეს ქალაქად. დიდი ნიზამი განჯევი, რომელიც ამ ეპოქის აზერბაიჯანის ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი მარგალიტია, და, რომელსაც მთელს მსოფლიოში აღიარებენ, როგორც პოეზიის გენიოს, პოეტურად ლამაზად მოიხსენებდა ბარდას თავის ნაწარმოებში, რომელიც ამ ქალაქს – მის სილამაზესა და თავისი დროის დიდებას მიუძღვნა. თავის ნაწარმოებში მან ბარდა ასევე „ედემს“ შეადერა, ულამაზესი ბუნებითა და ცხოველებით, სამოთხეს, რომელიც მტკვრის სანაპიროზე იყო აგებული, სადაც ჩიტის რძეც კი იყო.

სლავები, რომელნიც სემოჭრნენ აზერბაიჯანის მიწებზე გემებით, ჯერ მტკვარის შესართავს მოყვნენ შემდგომ ბარდას მოუახლოვდნენ. არაბული წყაროები მოწმობენ რომ, სლავებმა როდესაც მიაღწიეს ბარდას თავიანთი ბანაკი გამართეს ქალაქთან ახლოს მტკვრის სანაპიროზე. მათ დატოვეს თავიანთი გემები ნაპირზე და ბარდას შემოუტიეს.

ბარდას მმართველის სამხედრო ჯარი ძალიან მცირერიცხოვანი იყო ბარდას ჯარი დამარცხდა. ბარდა სლავების ხელში გადავიდა. სლავებმა მოსთხოვეს მშვიდობიან მოსახლეობას ორ დღეში დაეტოვებინათ თავიანთი ქალაქი. მოსახლეობამ არ დატოვა თავისი ქალაქი და ყველანი მოკლულნი იყვნენ.



შეაგროვე ინფორმაცია აზერბაიჯანის თანამედროვე ფლოტზე.



ვენას დიაგრამის მეშვეობით შეადარე ბარდასა და ხოჯალის ტრადედიები.



შეაგროვე ინფორმაცია თანამედროვე ბარდაზე და შეადარე იმ ბარდას, რომელზეც დაწერა ნიზამიმ.

LAYTHE



სლავები კასპიის
ზღვის ნაპირებზე

წყაროებზე დაყრდნობით ბარდასი მოკლული იქნა
20 ათასი მშვიდობიანი მოსახლე.

სალარიდთა მმართველმა მარზბან იბნ მუჰამედმა, როცა გაიგო სლავების თავდასხმაზე სასწრაფოდ გამოემურა ბარდელების დასახმარებლად. იმის მიუხედავად რომ, მისმა ჯარმა ალყა შემოარტყა ბარდას, იგი მაინც ვერ დაეხმარა მათ. მან მიიღო შეტყობინება რომ, მოსულის მმართველი დაესხა თვს სამხრეთ აზერბაიჯანს. მარზბან იბნ მუჰამედი იძულებული გახდა შეეტრიალებინა ჯარი. სლავები დარჩნენ ქალაქში 6 თვის განმავლობაში. ქალაქში დაიწყო ინფექციური ავადმყოფობების გავრცელება. დამპყრობლებმა მოკრიფეს ნადავლი, გადაწვეს ქალაქი და გაიქცნენ.



დასაბუთო რომ,
ბარდაში ადგილი
ჰქონდა მასობრივ
ხოცვა-ჟლეტას.

ბარდა რამოდენიმე წელი ვერ მოტრიალდა ამ ტრადედიისგან. ქალაქში სეწყდა ხელოსნობა და ვაჭრობა, აღარ იბეჭდებოდა მონეტები. ცნობილმა ბარდის ბაზრობამ დაკარგა თავუისი მნიშვნელობა. ასევე დასუსტდა არანის მთავარი ქალაქის პოზიციები. ნიზამი თავის ნაწარმოებში „ისკანდერნამეში“ ზუსტად ასახავს ბარდის მოვლენებს.

მაგრამ ბარდა ილახება, ქარის ხელით
წართვეს ფარჩა და აბრეშუმი.
სროლით დაიშალა ვარდი, ალისფერი
იქ არ იყო ნარცისი, ბროწეული გარდაიცვალა.
მივიმართები მის ჭალებში, შევიდე მის დოლებში,
შენ უბრალოდ ჩიპის ნაკადებს თუ ნახავდი.

?
შენ როგორ ბმო-
იქცეოდი ასეთ
სიტუაციაში?

**ადგილობრივი მმართველები, რომელნიც მტერს
სთხოვენ დახმარებას.** ეს არ ყოფილა სლავების ბოლო
შემოსევა აზერბაიჯანზე. ზოგიერთი მმართველი
თავიანთი ქონების დასაცავად უხმობდნენ სლავებს.
სლავებმა გამოიყენეს ეს შესაძლებლობა. 987 წელს
დერბენტის მმართველმა სთხოვა დახმარება „რუსებს“.
იგი ინახავდა სლავურ ჯარს.

სლავების თავდასხმები აზერბაიჯანის მიწებზე



LAYIH



როგორია თანამედროვე აზერბაიჯანის მნიშვნელობა, როგორც საზღვაო სახელმწიფოსი?

1032–1033 წელს სლავების მორიგი თავდასხმის შედეგად შირვანზე დაპყრობილი იქნა მისი დედაქალაქი შამახა. ადგილობრივი მოსახლეობა ამხედრდა დამპყრობლების წინააღმდეგ და განდევნა ისინი.

ამ პერიოდში არც ერთი მმართველი არ დაფიქრებულა სახელმწიფოს დაცვაზე კასპიის მხრიდან. სამხედრო ფლოტის არქონა ხელს უწყობდა მტერს აზერბაიჯანზე თავდასხმებში. აზერბაიჯანი, რომელსაც არ გააჩნდა ფლოტი დაუცველი იყო საზღვაო თავდასხმებისგან.



1. რა გახდა სლავების შემდგომი თავდასხმის მიზეზი?
2. რა მიზნით განხორციელდა სლავების თავდასხმა 944 წელს?
3. რატომ დაერქვა სლავების თავდასხმას ბარდაზე „ბარდას ტრადედია“?
4. რა მდგომარეობა იყო ბარდაში ტრადედიის შემდეგ?



1. განსაზღვრე სლავების თავდასხმის ხასიათი კასპიის სანაპიროზე.
2. განმარტე მიზეზები რატომ ვერ შესძლო სალარიდთა მმართველმა ბარდას დახმარება.
3. გაანალიზე ადგილობრივი მმართველების პოლიტიკა, რომელნიც სლავებს სთხოვდნენ დახმარებას.

და მტკვრის ნაპირზე... გაშალეს ბანაკი. სლავები... მოახდინეს თავდასხმა ბარდაზე... ბარდის მმართველი... ვერ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა თავისი ჯარით უცხოელ დამპყრობლებისათვის, რომელნიც რამოდენიმეჯერ აღემატებოდნენ რაოდენობით თავდამცველებს. მშვიდობიანი მოსახლეობა გაჟლიტეს და ქალაქი გაძარცვეს... დარწმუნდნენ რა ბარდის მოსახლეობის დაუმორჩილებლობაში სლავებმა... მოსთხოვეს მათ სამი დღის განმავლობაში ქალაქის დატოვება. მოსახლეობა, რომელმაც ვერ მოასწრო ქალაქის დატოვება მოკლული იყო. ცოცხლად დარჩენილნი... შეაგროვეს მეჩეთში... და მოსთხოვეს 20 დირჰემი... ვისაც გული არ გააჩნდა აწამეს. ისტორიკოსების გადმოცემით ბარდაში 20 ათასზე მეტი მოსახლეობა ამოწყვიტეს.

იაგუბ მაჰმუდოვ. აზერბაიჯანის ისტორია. აღორძინების ხანა. ბაქო, 1996, გ.14

LAYIH

9. მოსახლეობის საქმიანობა და ყოფა



ყოველდღიურად ჩვენი ქვეყანა ლამაზდება. იზრდება მოსახლეობის კეთილდღეობა. გაუნჯობესდა სახელმწიფოს იერსახე. პრეზიდენტი ატარებს რეფორმებს. წარმატებული პოლიტიკის გამო იზრდება ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი.

საინტერესოა რა სახელები იყო ჩანერგილი აზერბაიჯანის ყოფაში არაბთა სახალიფოს დროს? გაუნჯობესდა თუ არა მოსახლეობის კეთილდღეობა დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ? გაეცი ამ კითხვებს პასუხები.

რა გავლენა იქონია მოსახლეობის ყოფაზე სახელმწიფოების შეცვლამ? შესძლო თუ არა ჩვენმა სახელმწიფომ სახალიფოს მიერ მიყენებული დარტყმის გადატანა? როგორ გამოიყენებოდა მიწები აზერბაიჯანში IX–XI საუკუნეებში? ვითარდებოდა თუ არა ხელოსნობა ვაჭრობა ჩვენს სახელმწიფოში? წარმოდგენილი წყაროებიდან გამომდინარე გამოკვლევის შედეგად გაეცი ამ კითხვებს პასუხები.

აზერბაიჯანის ყოფითი ცხოვრება IX–XI საუკუნეებში. აზერბაიჯანის მიერ არაბთ სახალიფოსგან დამოუკიდებლობის აღდგენამ ხელი ნშეუწყო მისი ყოფითი საკითხების გადაჭრას. ფართო ცნობები ჩვენი ნიწების უხვმოსავლიანობის შესახებ შემონახულია IX–XI საუკუნეების არაბი მოგზაურების მიერ. მოსახლეობა მისდევდა მიწადმოწმედას, მესაქონლეობასა და მეზაზრობას. მიწებზე, რომელსაც გუთნით ხნავდნენ მოჰყავდათ ხორბალი და სხვა მარცვლეული კულტურები.

ამ დროს განვითარებული იყო მეაბრეშუმეობა. თუთოსანი მეაბრეშუმეობის გასანვითარებლად შექიში, შირვანში და ბარდაში დარგული იყო უამრავი თუთის ხე.

მეთევზეობა იყო ყველაზე ძველი საქმიანობა. იბნ ჰავგალი გადმოქცევს რომ, თევზი, რომელსაც იჭერდნენ მტკვარსა და არაქსში აგზავნიდნენ არდებილში,

კომენილი, საგადასახადო სისტემა, მიწადმოვლობელი, ულუჯი, საქარავნო სავაჭრო გზები



რა მეცნიერულ ცოდნას ფლობდნენ შუასაუკუნეთის მოგზაურები? დაამტკიცე შენი აზრი.

LAYTHE



ბაკურია. ქალაქი შირვანში დერბენტის ოლქში. „აქ იყო ნავთობის ჭა. მისი საიჯარო ფასი ათას დირჰემამდეც კი აღიოდა. მის გვერდით იყო მეორე ჭა საიდანაც დღედა ღამე ამოდიოდა თეთრი ნავთობი. იჯარის ფასი ამ ჭისა ასეთივე იყო, როგორც პირველისათვის. ერთ-ერთმა ვაჭარმა, რომელსაც მე ვენდობი, მითხრა რომ, უნახავს ადგილი სადაც ცეცხლი თვითონ ანთია“.

იაგუთ ალ ხამავი

რეიში და ერაყში. ექსპორტზე გაშვებული თაფლი გვაჩვენებს თუ რა დიდი როლი ეკავა მეფუტკრეობას აზერბაიჯანის ყოფაში.

ჩვენს, ბუნებრივი წიაღისეულებით მდიდარ ქვეყანაში, ყველა პირობა იყო ვაჭრობის განვითარებისათვის. მთებში მოიპოვებოდა ოქრო, ვერცხლი, ვერცხლის წყალი, ტყვია და სხვა ბუნებრივი წიაღისეულნი. თავრიზში, ნახიჩევანში და ბაქოში მოიპოვებდნენ მარილს. ბაქოში ასევე ნავთობსაც მოიპოვებდნენ.

IX–XI საუკუნეებში აწარმოებდნენ აბრეშუმის, მატყლის, ბამბისა და სელის ქსოვილებს. წითელი კვარცი, რომელსაც მოიპოვებდნენ ციხე-სიმაგრე ბაზთან, გამოიყენებოდა ამ ქსოვილების შესაღებად. ეს საღებავი ასევე იგზავნებოდა ერაყში და იემენში. ბარდაში დამზადებული საღებავი სახელწოდებით „კარმინი“ იგზავნებოდა ინდოეთში.

აზერბაიჯანის ქალაქები, რომელნიც გაბნაგდებოდნენ სავაჭრო გზებზე ცნობილი იყვნენ როგორც სავაჭრო ცენტრები.

IX–XI საუკუნეების ქალაქებში მოგზაურობა. ქალაქები, რომელნიც იდგნენ სავაჭრო გზებზე და ფლობ-




ბაზრობა
შუასაუკუნის
ქალაქში

LAYI

დნენ სასარგებლო გეოგრაფიულ მდებარეობას ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ქალაქები იყვნენ გარშემორტყმულნი ორმაგი თავდაცვითი გალავნებით და მიწაყრილებით. ქვისაგან და აგურისაგან ნაშენებ კედლებში იყო ქალაქის კარები, რომელნიც ძალიან ძლიერი იყვნენ, როგორც წესი რამოდენიმე მხრიდან შენდებოდნენ. ქალაქი ორი ნაწილისაგან შესდგებოდა: შიდა და გარე ქალაქისაგან. სახლები და ყოფითი ნაგებობები შიდა ქალაქში იყო, სახნავ-სათესები კი გარე კედლების მოშორებით. ყველაზე ხალხმრავალი ადგილი ქალაქის ბაზარი იყო, რომელიც, როგორც წესი, განლაგებული იყო საბაზრო მოედანზე ჯუმა (პარასკევის) მეხეთის გვერდით. იმ დროს დარდა, არდებილი, დერბენტი, ტიფლისი ითვლებოდნენ დიდ ქალაქებად. იბნ ჰავგალი, უწოდებდა ბარდას აზერბაიჯანის „მთავარ ქალაქს“, იგი ადრიდა მას ბაღდადს, ყვებოდა ქალაქის ბაზარზე.

დერბენტი, გარშემორტყმული გალავნით, იყო თავისი დროის ყველაზე დიდი საპორტო ქალაქი. არაბული წყაროების მიხედვით ამ ქალაქში უკვე არსებობდა საკანალიზაციო გაყვანილობა.

ბაქო იყო მეორე, დერბენტის მერე, საპორტო ქალაქი. წყაროებში ნათქვამია რომ, აბშერონის ნავთობმა სახელი გაუთქვა ქალაქ ბაქოს.



სახელოსნო
შუასაუკუნოვან
ქალაქში
(მინიატურა)



შეხედე ნახატს და გამოთქვი შენი აზრი.

LAYERS



რითია ცნობილი ბაქო დღეს?



ზაზ ალ ზაზვაბი (დერბენტი) განლაგებულია ტაბარისტანის ზვის პირას, რომელსაც ასევე უძახიან კასპის ზღვასაც. ეს ქალაქი არდებილზე დიდია ორი კვადრატული მილით.

აქ ბევრი სახნავ-სათესია, მაგრამ ცოტა ხეხილი, ამიტომაც ხილი შემოაქვთ სხვა ადგილებიდან. ქალაქში არის გალავანი, რომლის კედლებიც იწყება მთებიდან და ჩადის ქვემოთ. ამ მთებში არ არის გზები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა სხვა მუსულმანურ ქვეყნებში მოხვედრა.

იაგუთ ალ ხამავი



რა გადასახადებს იხდის შენი ოჯახი? ჩამოტვალე.

ტიფლისი, რომელიც ითვლებოდა არანის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად ცნობილი იყო ცხელი თავისი გოგირდის აბანოებით, რომლის გასაცხელებლადაც არა საჭირო ცეცხლი. ტიფლისი გარშემორტყემული გალავნით ცნობილი იყო ასევე როგორც სავაჭრო ცენტრი.


IX–XI საუკუნეებში მიწების რაციონალური გამოყენება იყო მნიშვნელოვანი სახელმწიფოს განვითარებისათვის. სად მიდიოდა შემოსავლები ამ მიწებიდან? როგორ ხორციელდებოდა ამ მიწების კონტროლი?

როგორ ნაწილდებოდა მიწები? IX–XI საუკუნეებში არსებობდა მიწისსაკუთრების სხვადასხვა ფორმები. სახელმწიფო მიწებს უძახოდნენ დივანის მიწებს. ყველაზე განვითარებული მიწადმფლობელობის სახე მიულქი იყო. ეს მიწები გადაეცემოდა მემკვიდრეობით. ამ მიწების მესაკუთრეებს ეწოდებოდათ მელიქები ან მიულქადარები. მიულქის მესაკუთრეებს უფლება ჰქონდათ მიწის გაყიდვაზე და ჩუქებაზე. არაბებისგან შემორჩენილი პირობითი მფლობელობის ფორმას უწოდებდნენ იქტას. მიწებს, რომელნიც იმყოფებოდნენ რელიგიურ საკუთრებაში – ვაკვი. მოსახლეობა, რომელიც ვაკვის მიწებზე სახლობდა გადასახადებს უხდიდა რელიგიურ მსახურებს. ამის გარდა ასევე არსებობდნენ მიწები, რომელთაც – ხასი. ეს მიწები ეკუთვნოდათ მმართველი დინასტიის ქალებს. ქორწინების დროს მათ გადაეცემოდათ ეს მიწები საკუთრებაში.

საზოგადოების ძირითად მამოძრავებელ ძალად გლეხები იყვნენ. გლეხები იყოფოდნენ ორ კატეგორიად: – ულუჯებად და თავისუფალ გლეხებად.

ფეოდალებისგან დამოკიდებულ გლეხებს ულუჯები ერქვათ. თავისუფალი და ულუჯი გლეხები ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ გადასახადები სახელმწიფოსათვის. საინტერესოა როგორ იხდიდნენ გადასახადებს?

შემოსავლის ძირითადი წყარო – გადასახადები. მიწის სარგებლობისათვის გადასახადი – უშირი (მეათედი). რელიგიური გადასახადები – ზაკიატი და ხუმსი. არამუსულმანებს უნდა გადაეხადათ სულზე – ჯიზია. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამ





თავრიზი. ყველაზე ცნობილი ქალაქი აზერბაიჯანში. ამ ქალაქში ცხოვრობს მრავალრიცხოვანი მოსახლეობა. მისი კედლები აშენებულია ქვისგან, აგურისგან და კირისგან. ქალაქში ჩმოედინება უამრავი წვირილი მდინარე. ქალაქს გარს ერთყვის უამრავი ბაღი, ხილი ძალიან იაფია.

იაგუთ ალ ხამავი

ცოტათი გააუწჯოხესა მოსახლეობის მდგომარეობა. სალარიდთა მმართველმა მარზბან იბნ მუჰამედმა შექმნა კანონთა კრებული., რომლითაც მოაწესრიგა საგადასახადო საკითხები. ამ კანონთა კრებულმა დროებით გააუწჯოხესა გადასახადების მოკრება. მაგრამ, შიდა არეულობებმა და ერთიანი სახელმწიფოს არქონამ სერიოზული ზიანი მიაყენა მოსახლეობას.



1. მეურნეობის რომელ დარგს უწყობდა ხელს აზერბაიჯანის უხვმოსავლიანი მიწა და ბუნებრივი რესურსების სიმრავლე?
2. რას აწესრიგებდა სალარიდ მუჰამედის კანონთა კრებული?
3. რა მოიტანა ფეოდალურმა უთანხმოებებმა?



1. შეაგროვე ინფორმაცია შუასაუკუნეთა ქალაქებზე.
2. შეადგინე მიწადმფლობელობის სისტემის სქემა.
3. გაანალიზე ფეოდალურ გლეხური ურთიერთობები.
4. გაუკეთე კომენტარი არაბი მოგზაურის ჩანაწერებს აზერბაიჯანის ქალაქებზე.

LAYIH

10. აზერბაიჯანის კულტურა IX – XI საუკუნეებში



აინური და აიხანი ჩავიდნენ ბაბუასთან სოფელში. იყო ნოვრუზის დღესასწაული. სოფელში აღნიშნავდნენ ამ ძველებურ დღესასწაულს. და და ძმა ბაბუასთან ერთად დასეირნობდნენ სოფელში და იღებდნენ სურათებს. უეცრად აიხანის ყურადღება მიიფერო ხიდმა. „ბაბუა, რატომ არის ეს ხიდი დანგრეული? სად მივყავართ ამ ხიდს?“ სახლში დაბრუნებისას ბაბუამ მოუყვა ხუდაფიას ხიდზე.

რას ფიქრობ რაში გამოიხატებოდ ხუდაფიას ხიდის მნიშვნელობა აზერბაიჯანისათვის?

სახალიფოს მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციამ გააღარიბა აზერბაიჯანი. ამასთან ერთად ასევე დადებითი მხარეც გააჩნდა არაბების ოკუპაციას. ეს არის – ისლამის მიღება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

იყო თუ არა იმ დროს შექმნილი მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის საჭირო პირობები?



დედე გორგუდი, ოღუზები, სამხედრო ხელოვნება, ხუდაფიას ხიდი.

იხსნება გზა აზერბაიჯანის განვითარებისათვის.

არაბთა სახალიფოს დასუსტებამ, დამოუკიდებლობის პრინციპების აღდგენა, დამოუკიდებელი სახელმწიფოებების ჩამოყალიბებამ აზერბაიჯანის მიწებზე მოიტანა აზერბაიჯანის აღორძინება. დაიწყო გამოცოცხლება მოსახლეობაში, დაიწყო განვითარება ხელოსნობამ, ვაჭრობამ. დაიწყო დანგრეული ტერიტორიების აღდგენა, ახალი ქალაქებისა და მეჩეთების მშენებლობა, ბიბლიოთეკებისა, სასწავლო დაწესებულებების ჩამოყალიბებამ – ყველაფერმა ამან მისცა ბიძგი კულტურის განვითარებას. ძირითად ენად – ითვლებოდა არაბული. სასწავლო დაწესებულებებში ასწავლიდნენ ამ ენას. აზერბაიჯანში არსებობდა უამრავი სკოლა და მედრესე. ხალხის ტრადიციებისა და წესჩვეულებების შერწყმის შედეგად მუსულმანურ კულტურასთან, ჩამოყალიბდა თურქულ – მუსულმანური კულტურა. ამ აღდგენითმა სამუშაოებმა მისცა ბიძგი არქიტექტურის განვითარებას. მეჩეთები და მინარეთები

?

შეიძლება თუ არა ეწოდოს პროგრესი ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ მასშტაბურ მშენებლობებს? გამოთქვი შენი აზრი.



ალინჯას მთა,
სადაც დგას
ციხე-სიმაგრე
ალინჯა

შენდებოდნენ ისლამური კულტურის ტრადიციების მიხედვით. 920 წელს აშენებული შემახის სოფელ სიუნდიში მეჩეთი გამოხატავს იმ დროინდელ არქიტექტურას. ამ დროს აშენდა ალინჯას ციხე-სიმაგრეში სახლები და სხვა არქიტექტურული ნაგებობები, რომელიც ამ დროის ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენენ.

ქარავანსარაები, რომლებიც შენდებოდნენ სავაჭრო გზებზე, თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო ვაჭრობაში. ეს ძლიერი ნაგებობები, ასევე უსაფრთხოებას ანიჭებდნენ ვაჭრებს. ამ დროის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა ხუდაფიას ხიდი აშენებული იყო მდინარე არაქსზე. ამ ხიდმა უდიდესი წვლილი შეიტანა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანს შორის. ასენებული 1027 წელს შედადიანთა მმართველის ფაზლ იბნ მუჰამედის ბრძანებით, ეს ხიდი, არის სილამაზისა და სიძლიერეს განსახიერება.

მდიდრული ლიტერატურული ნიმუშების ძიებაში.

აზერბაიჯანში ისლამური კულტურის გავრცელებამ მოიტანა ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარება. IX საუკუნიდან გაიზარდა ინტერესი ბუნებრივ მეცნიერებებზე. ვითარდებოდა მედიცინა, ქვეყანაში გაჩნდნენ გამოჩენილი ექიმები. ასევე გაიზარდა ინტერესი ასტრონომიისადმი.


ზეპირსიტყვიერების განვითარება იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა კულტურაში. ამის ნათელი



Tapşırıq

აღწერე შუასაუკუნეების ერთ-ერთი, რომელიმე ხუროთმოძღვრების ძეგლი.

LAYIHI



ჯაბრაილის რაიონი, სადაც არის ხუდაფიის ხიდი, იმყოფება სომხური ოკუპაციის ქვეშ

მაგალითია ყველაზე ძველი და უნიკალური ძეგლი აზერბაიჯანის ლიტერატურისა – დასტანი „კიტაბი დედე გორგუდისა“. ეს დასტანი ვრცელდებოდა ოზანების (სახალხო მთხრობელების) მიერ VII–IX საუკუნეებში. დასტანი „კიტაბი დედე გორგუდისა“ დაწერილი იყო თურქულ ენაზე არაბული გრაფიკით. დასტანი არის აზერბაიჯანული ენის სიძველის დამადასტურებელი ფაქტი. ეს ნაწარმოები აღმოჩენილი იქნა ერთ-ერთ ევროპულ ბიბლიოთეკაში და აღიარებული იქნა როგორც აზერბაიჯანის მარგალიტი. ამ ნაწარმოებში ნახეს გამოსახვა ჩვენი ხალხის ძღველმა ადათებმა და ტრადიციებმა. დასტანში მოითხრობა ამბებზე, რომელნიც ხდებოდნენ უზარმაზარ ტერიტორიებზე დერბენტიდან დიარბეჯირამდე, კასპიის ზღვიდან ტრაბზონამდე. ნაწარმოებში აღინიშნება სახელწოდებები: ყარაბაღი, გიოიჩეს ტბა, ნახიჩევანი, ირევანი და სხვა აზერბაიჯანული მიწების დასახელებები. ეს ნაწარმოები ითვლება საერთო დიდი თურქული სამყაროს ნაწარმოებად. ამ ნაწარმოებში აღინიშნება უტყუარი ფაქტების იმის შესახებ, თუ როგორ ფორმირდებოდა აზერბაიჯანის მიწები, ჩვენი ხალხისადმი მიკუთვნების შესახებ. ამის კიდევ ერთი დადასტურებელი გარემოება ისიც არის რომ, ამ ნაწარმოების ავტორი დედე გორგუდი ცხოვრობდა აზერბაიჯანში და დაკრძალულია დერბენტში.



აზერბაიჯანის
პრეზიდენტი
ილჰამ ალიევი
„კიტაბი დედე
გორგუდის“
ძეგლის გახსნის
ცერემონიაზე


იმავდროულად ამის დამადასტურებელია ის აზერბაიჯანული ტოპონიმები, რომელნიც ქვხდება ამ ნაწარმოებში, და მოვლენებიც ხდება აზერბაიჯანის ტერიტორიებზე. ამიტომაც აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის ინიციატივით 1300 წლის იუბილე „კიტაბი დედე გორგუდისა“ ჩვენს სახელმწიფოში ჩატარდა. ჩვენი დედაქალაქის ყველაზე გამოჩენილ ადგილას გაშენდა დედედ გორგუდის სახელობის პარკი, დაიდგა „კიტაბი დედე გორგუდის“ ძეგლი.

გულისათვის სასიამოვნო თურქული ენა – ენა დედე გორგუდისა. დასტანის მოვლენებს მოგვითხრობს დასტანის მთავარი გმირი დედე გორგუდი. იგი აძლევს ოღუზულ ახალგაზრდობას მითითებებს და ჩვენებს, რითიც აჩვენებს მათ სწორ ცხოვრებისეულ გზას.


LAYIPI

„კიტაბი დედე გორგუდისა“ არის აზერბაიჯანული კულტურის ყველაზე უძველესი ხალხური ნაწარმოები. ორი ხელნაწერი ეგზემპლარი „კიტაბი დედე გორგუდისა“ არის ცნობილი XIX საუკუნის მეცნიერული სამყაროსათვის. ერთი მათგანი ინახება ვატიკანსი, მეორე კი დრეზდენში. ეს დასტანები მოგვითხრობენ იმის შესახებ თუ რა ხდებოდა აზერბაიჯანში ისლამის მიღებამდე. უმეტესი მოქმედებები ხდება „დემირ გაფიში“ (რკინის კარიბჭეში) – დერბენტში, ბარდაში, განჯაში, ალინჯეში, გიოიჩეს ტბაზე და სხვა ადგილებში. ადამიანი, რომელმაც ჩაწერა ეს მონაცემები „კიტაბი დედე გორგუდისაში“, გვამცნობს რომ, დედედ გორგუდი თვითონ იყო ამ მოვლენების მონაწილე, რომელიც დასტანებშია მოთხრობილი. „კიტაბი დედე გორგუდისა“ – არის უძვირფასესი წყარო, სადაც გადმოცემულია ისტორიულ – ეთნოგრაფიული ცნობები იმ დროინდელი აზერბაიჯანის ყოფაზე, მის ტრადიციებზე, ადათ წესებზე და სხვა. „კიტაბი დედე გორგუდისა“ არის უძვირფასესი ისტორიული წყარო, ჩვენი ფესვების შესწავლის მიზნით, ისტორიის, სახელმწიფოებრიობისა და აზერბაიჯანული ენისა, აღიარებულია უკვდავ წიგნათ არა მხოლოდ აზერბაიჯანის არამედ ყველა თურქული სახელმწიფოსათვის და თურქული სამყაროსთვის.

ჰეიდარ ალიევი



„სალურ გაზანის სახლის გაძრვვის“, თქმულებიდან



„განტურალი, განლი გოჯის შვის“ თქმულებიდან

LAYI.H

იგი სიზმარს უზახის „მცირე სიკვდილს“ და მიუთითებს ოღუზელ ახალგაზრდობას ფხიზლად იყვნენ ცხოვრებაში და მტრებთან მიმართებაში. სამშობლო ოღუზებისთვის წმინდა ცნება იყო. ამიტომაც ოღუზი ვაჟკაცები, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი მაინც სამშობლოში ბრუნდებოდნენ.

ოღუზები ივიწყებენ ყველა წყენას და ერთიანდებიან საფრთხის წინაშე. სამშობლოსადმი სიყვარული მათთვის ყველაზე ძვირფასი რამ იყო. ეს გრძნობა ყოველთვის აერთიანებდა მათ.

ოღუზთა ისტორიის დამტკიცება დასტანში. დასტანიდან ჩანს რომ, ოღუზები ეწეოდნენ მიწადმოქმედებას, მებაღეობასა და მებახჩეობას, სთესავდნენ ხორბალს. დასტანში ასევე ნახსენებია უამრავი სასაქონლო -ფულადი ურთიერთობების ამსახველი ფაქტი. დასტანში ხშირად გვხვდება ოქროს მონეტის ხსენება „ალთუნ ახჩა“.

ოღუზთა წინამძღვარი, რომელნიც მკაცრ საბრძოლო დისციპლინას იცავდნენ, „ხანთა ხანი“ იყო. ყველა სამხედრო საკითხს განიხილავდა მეჯლისი (საბჭო), უშიშრები, რომელთაც სურდათ გამგზავრება ნებართვას იღებდნენ „ხანთა ხანი“-სგან.

აზერბაიჯანი იყო პირველი თურქული სახელმწიფო, რომელმაც ისლამი მიიღო. თურქული ტომები ისლამის მიღებამდე ეთაყვანებოდნენ ერთ ღმერთს – ტენგრეს, ანუ ერთ -ალაჰს, და ამიტომაც მათ გაუადვილდათ ისლამის მიღება, თავიანთი ერთღმერთიანობიდან გამომდინარე. მალე თვითონ თურქები გადაიქცნენ ისლამის გამავრცელებლებად. დასტანის გმირი ოზან დედე გორგული იყო მუჰამედ წინასწარმეტყველის თანამედროვე. დასტანში აღინიშნება რომ, ზოგიერთმა ოღუზებმა ნახეს წინასწარმეტყველი. ერთ -ერთი დასტანის გმირი დელი დომრული იფიცება წმინდა ყურანზე, რომ იბრძოლებს მტრებთან.

თურქების მიერ ისლამის მიღებით შეიქმნა თურქულ-მუსულმანური ერთობა. ერთიანმა რელიგიამ დადებითად იმოქმედა თურქებზე და მოეხმარა ერთიანი სახელმწიფოს შექმნაში და მის აყვავებაში.

პოლიტიკურმა აღორძინებამ, ერთიანი სახელმწიფოს შექმნამ, ეკონომიკურმა პროგრესმა, რომელიც

?
შეიძლება თუ არა „კიტაბი დედე გორგულისა“ – სეწოდოს წყარო? დაამტკიცე შენი აზრი.

?
შეიძლება თუ არა ჩ ა ი თ ვ ა ლ ო ს „შეჰიდთა ალეა“ სადაც დასაფლავებული არიან ჩვენი შეკიდებიჩათვალის ფიცის დადების ადგილად? გამოხატე შენი დამოკიდებულება.

LAYI



რომელი მუსულმანური საზოგადოებების წევრია აზერბაიჯანი? გაარკვეე.

IX–XI საუკუნეებში იყო დადებითად იტამაშა სახელმწიფოში კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. მოსახლეობის ინტერესი გაიზარდა კულტურისადმი. შეიქმნა ყველა წინაპირობა გამოჩენილი პოეტთა და მეცნიერების ჩამოსაყალიბლებლად.



1. რა გავლენა იქონია ისლამმა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში?
2. როგორი სახის ნაგებობებს ჰქონდათ უპირატესობა სახალიფოს დროს?
3. როგორ იყო გამოსახული ისლამური კულტურა დასტან „კიტაბი დედე გორგუდისა“-ში?
4. რა ფაქტები ამტკიცებენ დასტან „კიტაბი დედე გორგუდისა“-ს აზერბაიჯანისადმი მიკუთვნებას?



1. მოამზადე პრეზენტაცია აზერბაიჯანის არქიტექტურაზე IX–XI საუკუნეებში.
2. დაწერე ესე თურქული სამყაროს შედევრზე – დასტან „კიტაბი დედე გორგუდისა“-ზე.
3. მოგვითხრე თურქების ყოფაზე დასტანის მიხედვით.
4. ელაპარაკე შენს კლასელებს დასტან „კიტაბი დედე გორგუდისა“-ს 1300 წლისთავზე. ჩაწერე შენი დასკვნები.

ოღუზო-სელჩუკური დინებები და აზერბაიჯანი

11. ოღუზო-სელჩუკური დინებები



გამიარ მუალიმე უკვე ბევრი წლის განმავლობაში ასწავლის სკოლაში. მის გაკვეთილებზე ყოველთვის საინტერესოა. ერთ-ერთ გაკვეთილზე მან მოუთხრო „სულთან სანჯარისა და მოხუცი ქალბატონის ისტორი“ პოემიდან „საიდუმლოთა განმეულობა“-დან. ჩიეკმა ხელი ასწია და იკითხა:
– მასწავლებელო, ვინ არის სულთან სანჯარი?

გამიარ მუალიმე:

– სულთან სანჯარი იყო სელჩუკთა სახელმწიფოს მმართველი, რომელიც თურქულმა ტომებმა შექმნეს. – მან ასევე მოკლედ უამბო მათ როლზე აზერბაიჯანის ისტორიაში.

რა ცნობები მიაწოდა მასწავლებელმა სელჩუკებზე? ვინ იყვნენ სელჩუკები? რა როლი აქვთ მათ აზერბაიჯანის ისტორიაში?

ჩავატაროთ გამოკვლევები ამ პასუხების გასაცემად.

ახალი თურქული ნაკადები აზერბაიჯანში. უძველესი დროიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სახლობდნენ თურქული ტომები. ეს ქვეყანა იყო უამრავი თურქული ტომების სამშობლო, მათ შორის ოღუზთა ტომებისათვისაც.

სახალიფოს დაშლის შემდგომ აზერბაიჯანში კიდევ უფრო გაძლიერდა ისლამი -თურქული ეთნოგრაფიული ფაქტორი. ამ პერიოდში შეიქმნა ერთიანი ქრისტიანული ბლოკი, რომელიც შედგებოდა ბიზანტიელი, სომეხი და ქართველი ფეოდალებისაგან. ამ დრძოლის ბედი წყდებოდა აზერბაიჯანის მიწებზე. სახალიფოს დაშლის შემდეგ მირითადი როლი ბიზანტიასთან ბრძოლაში ეკუთვნოდა თურქებს.

სელჩუკების ნაკადები, „ოღუზნამე“, ეთნიკური ფაქტორი, პოლიტიკური ფაქტორი, სულთან თორული



LAYI



სელჩუკ ბეგი



როგორ სთვლი რატომ სცდილობდნენ თურქები ანატოლიაში დამკვიდრებას?



სულთან თოდრულ I

ესე რომ, ამ ბრძოლაში თურქები გახდნენ ძირითადი ფაქტორი. აზერბაიჯანი გახდა ამ ფაქტორის დასაყრდენი*.

დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა თურქული ტომები ცდილობდნენ თავი დაემკვიდრებინათ ანატოლიაში. აზერბაიჯანი ამ ტომებისათვის ზურგს წარმოადგენდა. სელჩუკებმაც ძირითად მიზნად ბიზანტიის მიწები აირჩიეს. ამ ტომის დასახელება დაკავშირებული იყო სელჩუკ ბეგთან. სელჩუკების სახელმწიფოს დამაარსებელი კი იყო მისი შვილისშვილი თოდრულ ბეგი (1038–1063). სელჩუკ ბეგის შვილისშვილი ჩალრი ბეგი კი გაემურა დაზვერვითი ფუნქციით ბიზანტიისკენ, სადაც სძლია მისი ჯარი. სელჩუკებმა დაიპყრეს ვანის ტბის ბასეინი. ამის შედეგად მოხსნილი იქნა საშიშროება ბიზანტიელი და სომხური ჯარის თავდასხმისა ნახიჩევანზე.


1038 წელს სელჩუკებმა შექმნეს თავიანთი სახელმწიფო ნიშამპურით დედაქალაქად. 1040 წელს თოდრულ ბეგი გამოცხადდა სულთანათ. ისინი გაძლიერდნენ და დამკვიდრნენ ჩრდილოეთში. რამოდენიმე ხნის შემდეგ სელჩუკები და შედადიანები გაერთიანდნენ ბიზანტიელების, სომხების და ქართველების წინააღმდეგ. გაერთიანებული ძალებით თურქულმა ჯარმა რამდენიმეჯერ გაანადგურა მტრის ჯარი.

სელჩუკთა იმპერიის შექმნამ დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს ისტორიაში და ძლიერი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე აზერბაიჯანში. შეუფასებელია ამ ფაქტორის მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოსათვის, მისი სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობის ტრადიციებისათვის.


სელჩუკთა იმპერიის შექმნამ დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს ისტორიაში და ძლიერი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე აზერბაიჯანში. შეუფასებელია ამ ფაქტორის მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოსათვის, მისი სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობის ტრადიციებისათვის.



**istinadga* — sığınacaq, müdafiə üçün əlverişli yer



დიდი სელჩუკთა იმპერიის რუკა



აზერბაიჯანის სამხრეთის პროვინციები გადავიდა სელჩუკთა მხედართმთავრის ჰასანის დაქვემდებარებაში. 1048 წელს სელჩუკ-აზერბაიჯანულმა ჯარმა დაამარცხა ბიზანტიურ, სომხურ, ქართული ჯარი და ბიზანტია იძულებული გახდა ზავი დაეფდო სელჩუკებთან.

1054 წელს სელჩუკთა ჯარი თავრიზს მიუახლოვდა. თავრიზის მმართველმა აღიარა თოდრულ სულთანის ძალაუფლება და დაემორჩილა მას. თოდრულ სულთანი თავს დაესხა განჯას. შედადიანთა მმართველი აბულასვარ შავურიც დაემორჩილა მას. ორივე მმართველი მივიდა დასკვნამდე, რომ ერთიანი ძალებით უნდა ებრძოლა ბიზანტიელების, სომეხებისა და ქართველების წინააღმდეგ.

სელჩუკებმა ასევე გაილაშქრეს შირვანზე. მათ ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდათ. 12 წლის განმავლობაში შირვანშაჰები ეწევდნენ



სპილენძის მონეტები დაბეჭდილი სელჩუკთა მეფისნაცვლის მიერ აზერბაიჯანში

LAWYER



როგორ აფასებ შირვანშაჰთა წინააღმდეგობას სელჩუკების მიმართ? გამოთქვი შენი აზრი.

მათ წინააღმდეგობას. 1066 წელს სელჩუკებმა დასძლიეს შიღვანშაჰთა წინააღმდეგობა.

შირვანშაჰ ფარიბუსს ჩამოერთვა „შირვანშაჰთა“ წოდება.

ამის შედეგად მთელი აზერბაიჯანი შევიდა სელჩუკთა იმპერიის შემადგენლობაში.

თურქი ჩაეხუტა თურქს. სელჩუკების დამკვიდრებით აზერბაიჯანში ახალი თურქული ტომები შემოვიდნენ. ოღუზო-სელჩუკური ტომები მცირე დროში ასემილირდნენ ადგილობრივ თურქებთან, რომელთაც ერთიანი ფესვები და ენა გააჩნდათ. სელჩუკთა ნაკადების შედეგად ოღუზურ-თურქული ტომები გახდნენ ძირითადი ეთნიკური და პოლიტიკური ფაქტორი კავკასიაში, მათ შორის აზერბაიჯანში.

სელჩუკთა დინებებმა დაარღვია ბიზანტიის გეგმები სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრების შესახებ. აღკვეთილ იქნა სომხურ – ქართული ჯარების მცდელობა დასავლეთ აზერბაიჯანის მიწების დაპყრობისა. ამის შედეგად აღიკვეთა მათი მცდელობა აზერბაიჯანში ქრისტიანობის დამკვიდრებისა.

სელჩუკთა სულთანები სცდილობდნენ გაეძლიერებინათ ცენტრალური ხელისუფლება. ამის გამო მათ შექმნეს სამხედრო-პოლიტიკური დასაყრდენი: ჯარში მსახურობის სანაცვლოდ იქტას საფუძველზე გადასცემდნენ მიწებს სელჩუკ ამირებს. ამან გააძლიერა სელჩუკთა სამხედრო-პოლიტიკური გავლენა იმ მიწებზე სადაც ისინი დამკვიდრდნენ. თანდათანობით იქტა გადაეცემოდა მემკვიდრეობით და ხდებოდა საკუთრების ფორმად.

კიდევ ერთ მიწის საკუთრების ფორმას უჯი წარმოადგენდა. ესე ეწოდებოდა იმ მიწებს, რომელთაც გადასცემდნენ მხედართმთავრებს, რომელნიც იცავდნენ სახელმწიფოს საზღვრებს. უჯი და იქტა იძლეოდნენ საშუალებას ყოველთვის დასახლებულიყვნენ თურქები ამ ტერიტორიებზე.

თურქ-ოღუზთა ტომების ნაკადით კიდევ უფრო გაიზარდა თურქულენოვანი მოსახლეობა. ეს ტომები, რომელთაც ჰქონდათ საერთო ენა და ფესვები



როდის დაიწყო პირველად იქტას გამოყენება მიწისმფლობელობის სახით?



ადგილობრივ თურქებთან, სწრაფად ასიმელირდნენ. ასე რომ, ოღუზების ჩამოსახლებამ ხელი შეუწყო და დააჩქარა აზერბაიჯანელი ხალხის ფორმირების დამთავრებას. ბოლომდე აცილებული იქნა ბიზანტიელების მიერ ჩვენი სამშობლოს დაპყრობის სამიშროება.



ისტორიის რომელ ეტაპებზე იქნენ აზერბაიჯანლები აყრილნი თავიანთი კერებიდან და ვის მიერ? ჩაატარე გამოკვლევა.



1. რა მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანის დიდი სელჩუკთა იმპერიაში შესვლას?
2. როგორ გესმის გამოთქმა „ძირითადი ეთნიკური ფაქტორი“?
3. აზერბაიჯანი ძლიერი რომ ყოფილიყო შესძლებდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას თურქ-სელჩუკებისათვის?



1. ახსენი მიზეზები რატომ ითვლებოდა აზერბაიჯანი ზურგად. განმარტე შენი აზრები.
2. დაასახელე მიზეზები, თუ რის გამო, თურქ-სელჩუკებმა ადვილად დაიპყრეს აზერბაიჯანი.
3. დაასახელე რა საერთო გააჩნია იქტასა და უჯს და დაამტკიცე მათ შორის საერთო ნიშნები.

LAYIH

12. ჩვენი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესის დამთავრება

ისტორიის მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩვენმა ხალხმა განვლო მძიმე გამოცდები, დიდი სირთულეები, შექმნა და შეინახა კულტურული ფასეულობები, შემოინახა თავისი ენა და მოაღწია ბედნიერ სინამდვილეს.

ჰეიდარ ალიევი



ჩვენს ხალხს გააჩნია თავისი ადგილი მსოფლიოში. აზერბაიჯანის კულტურა, ხელოვნება და მეცნიერება განსაკუთრებით გამოირჩევა სხვა თურქულ სახელმწიფოებში. აზერბაიჯანელთა საერთო რაოდენობა მსოფლიოში 60 მილიონ ადამიანს აღემატება. თავისი რიცხვობრივი მაჩვენებლით, ჩვენი ხალხი არის მეორე თურქულ ხალხებში. სადაც არ უნდა ცხოვრობდეს აზერბაიჯანელი იგი არ ივიწყებს მშობლიურ ენას და ტრადიციებს.

როგორ სთვლი რა შემთხვევაში შეიძლება დაერქვას ხალხის გაერთიანებას ერი? რა დროის განმავლობაში ყალიბდება ერი? იმსჯელე მეგობრებთან.

ყოველი ჩვენთაგანისათვის მნიშვნელოვანია იცოდე შენი წარმომავლობა ანუ ფესვები. მოდით შევისწავლოთ ეს ისტორიული პროცესი.



ერად ჩამოყალიბება, ეთნიკური მიკუთვნება, ერთდმერთიანობის რელიგია, ფესვები, ლოკალური ეთნიკური კავშირები.

ერთიანი აზერბაიჯანული ერის ფორმირება. ერი ყალიბდება გარკვეული პირობების შექმნით. ეს პირობები არის ფესვების ერთიანობა, საერთო ენა, ტერიტორიულ კულტურული ერთობა, საერთო ტრადიციები, ნაციონალური ფასეულობათა მსგავსება. ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაციები ან აჩქარებენ ან ანელებენ ამ პროცესებს. ამიტომაც ამ პირობების შესაქმნელად საუკუნეებია საჭირო.

ფესვების ერთიანობა და ტერიტორიული ერთობლიობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ერის საერთო ენის ჩამოსაყალიბებლად.

აზერბაიჯანი უძველესი დროიდან ფლობდა ტერიტორიულ ერთობას. მისი ტერიტორია განლაგებული იყო ხამადანის, გაზნევის, ზენჯანის საზღვრებიდან სამხრეთით, დერბენტამდე ჩრდილოეთით. იმავდროულად ჩვენი სამშობლო მოიცავდა ტერიტორიებს კასპიის ზღვიდან ირევანამდე და მის გარშემო მიწებს. აღმოსავლეთ საქართველო თიფლისთან ერთად (ისტორიული ბორჩალოს მაგალი) ასევე შედიოდა ოღუზთა სახელმწიფოს შემადგენლობაში. ყველაზე ძველი მაცხოვრებლები ლულუბიელები, კუთიები, თურუქები, ხურითები და სხვანი ასევე იღებდნენ მონაწილეობას ისტორიულ მოვლენებში.

ენა არის ერთ-ერთი ფაქტორი ეთნიკური წარმოშობის დასადგენად. დიდი როლი ჩვენი ერის ფორმირებაში მიუძღვნის უამრავ თურქულ ტომებს, რომელნიც უძველესი დროიდან სახლობდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ყიმირიელებმა, ისკითებმა, საკებმა, ჰუნებმა, საბირებმა, ხაზარებმა, ოღუზებმა, სელჩუკებმა, ყიფჩალებმა და სხვა თურქულენოვანმა ტომებმა და ეთნოსმა. ცალკეული ისტორიული პერიოდებში, აქამენიდების, სასანიდებისა და სახალიფოს მიერ გადმოსახლებული ხალხები აითქვიფნენ ადგილობრივ თურქებთან და ისინიც შევიდნენ ჩვენს ერში.

ბევრი საერთო აერთიანებდა ხალხს აზერბაიჯანში. პირველი – ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ისინი იყვნენ კერპთაყვანისმცემლები, ქრისტიანები და გახდნენ მუსულმანები. ისინი ერთად გამოდიოდნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად.

სასნიდტა და სახალიფოს ბატონობის დროს ატროპატენაც და ალბანეთიც შედიოდა ერთი და იმავე იმპერიის შემადგენლობაში. ეს ქმნიდა აუცილებლობას ამ ტომების გასაერთიანებლად ტერიტორიული და ენობრივი ფაქტორებიდან გამომდინარე.

როგორც უკვე იცით შუასაუკუნეთში თურქული ნაკადები კიდევ შემოდიოდნენ აზერბაიჯანში. ჩამო-



აზერბაიჯანის რესპუბლიკის რომელი უკიდურესი წერტილები იცი შენ?



განმარტვრომ, ენა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ერის ჩამოსაყალიბებლად.

LAYBY



არის თუ არა 20 იანვრის შეხიდეშს შორის არათურქული ეთნოსის წარმომადგენლები?

სული თურქები გვერდი – გვერდ ცხოვრობდნენ ადგილობრივ თურქებთან. ამის გარდა გადასახლების პოლიტიკიდან გამომდინარე აზერბაიჯანში ასევე სპარსელები და არაბები დასახლდნენ. ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმელაციის შედეგად მათ დაკარგეს თავიანთი ენა.

ისლამური რელიგიის როლი ჩვენი ერის ჩამოყალიბების პროცესში. VII–VIII საუკუნის არაბთა ოკუპაციამ მოიტანა კერპთაყვანისმცემლობისა და ცეცხლტაყვანისმცემლობის გაქრობა. ქრისტიანობა და ისლამის იყო ძირითადი რელიგია აზერბაიჯანის მთიან მხარეებში.

ისლამი გახდა ძირითადი რელიგია. არაბთა ოკუპაციას გააჩნდა როგორც უარყოფითი ასევე დადებითი მხარეებიც. ჩვენს ქვეყანაში დამყარდა პოლიტიკური სტაბილურობა. შეიქმნა ნიადაგი ყოფისა და კულტურის განვითარებისათვის. ახალმა რელიგიამ გაამლიერა თურქების ერთობა და სხვა ეთნოსის წარმომადგენლები. ერთიანმა ბრძოლამ სახალიფოსა და ბიზანტიურ – ქრისტიანულ ბლოკთან გააერთიანა ჩვენი ხალხი.

დამთავრდა თურქულ აზერბაიჯანული ენის ფორმირების პროცესი. გაზლიერდა სახალიფოში შემავალი ხალხების კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები. შეიქმნა ყველა პირობა ერის ჩამოსაყალიბებლად.

ჩვენი ერის ფორმირების პროცესის დამთავრება.

ჩვენი ერის ფორმირების პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე და დასრულდა აქამენიდთა მმართველობის პერიოდში. ატროპატენასა და ალბანეთის სახელმწიფოების შექმნამ კიდევ უფრო დააცქარა ეს პროცესი, რომელიც დამთავრდა სასანიდებისა და არაბების დაპყრობებით და ისლამიზაციით.

მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენი ერის ფორმირებაში შეიტანეს ასევე ფეოდალურმა სახელმწიფოებ-



შეიძლება თუ არა ჩაითვალოს რელიგიურად ტოლერანტულად ჩვენი სამშობლო? დაამტკიცე შენი აზრი.


LAYI.E

მაც, რომელნიც შეიქმნენ სახალიფოს დაშლის შემდგომ. ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი საჯიდთა სხელმწიფომ შეიტანა სამხრეთ და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის გაერთიანებით.

XI საუკუნეში სალჩუკთა იმპერიის შექმნამ მნიშვნელოვნად იმოქმედა აზერბაიჯანის ისტორიაზე. აზერბაიჯანის ძირითადი მოსახლეობა, მათ შორის თურქი – ოღუზები იყვნენ სელჩუკებთან ერთი ეთნიკური ფესვების მქონე. სამხრეთ კავკასიის მუსულმანური მოსახლეობა ხედავდა მათში მოკაშირეებს ბიზანტიურ-სომხურ-ქართველურ ქრისტიანული ბლოკის წინააღმდეგ.

თურქ-სელჩუკთა ნაკადმა ბოლომდე დაასრულა ჩვენი ერის ფორმირება. ოღუზო-სელჩუკურმა ტომებმა მოკლე დროში განიცადეს ასიმილაცია. ჩვენი ხალხის ენა გახდა საერთო საურთიერთო ენა.

გერმანელი ისტორიკოსი სწერდა ჩვენი ენის მნიშვნელობაზე ესე: „თითქოს მსოფლიოს ყველა



ყურანი


? რატომ ხედავდა სამხრეთ კავკასიის მუსულმანური მოსახლეობა ხედავდა სელჩუკებში მოკაშირეებს? ახსენი მიზეზები



VII საუკუნეში აშენებული ჯუმა მეჩეთი შამახაში

LAY III

ენათმეცნიერები გაერთიანდა, აზერბაიჯანული თურქული ენის შესაქმნელად, აი ასეთი უნდა იყოს ენა.“



1. რა შეგიძლია სთქვა ადამიანის საზოგადოებრივ განვითარებაზე ზემოთ მოცემული განშტოების საფუძველზე?
2. რომელმა ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა დააჩქარა ჩვენი ერის ფორმირება?
3. რა საერთო მახასიათებლები აქვთ მრავალ ხალხებს, რომელნიც ჩვენს ტერიტორიაზე სახლობენ?
4. რა იყო, იმის გარდა, რაც ტექსტშია მოცემული სელჩუკების მიერ აზერბაიჯანის ადვილად დაპყრობის მიზეზი?



1. ჩამოაყალიბე მიზეზობრივი კავშირი ერთად გამოყალიბების პირობებისა.
2. განმარტე ენის მნიშვნელობა ერის ფორმირების პროცესში.
3. დაამტკიცე დიდი სელჩუკთა იმპერიის მნიშვნელოვანი წვლილი აზერბაიჯანის ერის ფორმირებაში.
4. ახსენი თურქული ტომების ჩამოსახლების მიზეზები აზერბაიჯანში.

LAYLA

13. სელჩუკთა სასახლიდან დამოუკიდებელ ხელისუფლებამდე



ელდენიზმა იცოდა რომ, სახელი ბებიაშ დაარქვა. მას აინტერესებდა ამ სახელის წარმოშობა. ერთხელაც, როდესაც ბებიაშთან სტუმრად იყო მან მოითხოვა საინტერესო წიგნი წასაკითხად. ბებიაშ გაუწოდა წიგნი და უთხრა:

– ეს წიგნი ჩვენი ისტორიის შესახებაა. ამის წაკითხვისას შენ გაიგებ საიდან მოდის შენი სახელი. მე მსურს რომ, შენ გაიზარდო სახელმწიფოს ღირსეული შვილად.

რას ფიქრობ, რომელ ისტორიულ პერიოდს ეხებოდა წიგნი, რომელიც ბებიაშ მისცა? ჩასწერე შენი აზრები რვეულში.

„დიდი ათაბაგი“*. ერთ-ერთ უძლიერესი სახელმფიფო, რომელიც თურქ სელჩუკთა იმპერიის დამშლის შემდეგ შეიქმნა იყო ათაბაგთა აზერბაიჯანული სახელმწიფო. ერაცის სელჩუკთა სასულთანოს სულთანმა თოდრულ II (1132–1134) დანიშნა შამსადინ ელდენიზი თავისი შვილის არსლან შაჰის ათაბეგად. მოკლე პერიოდში მან მოიხვეჭა სახელმწიფო მმართველის დიდება.

არანის ტერიტორია გადაეცა შამსადინ ელდენიზს (1136–1175) იქტას სახით. 1136 წელს იგი დანიშნა არანის მმართველად და გაგზავნილი იქნა ბარდაში. ესე ჩამოყალიბდა ელდენიზთა სახელმწიფო და ელდენიზთა დინასტია, რომელიც მმართავდა ამ სახელმწიფოს.

ელდენიზთა სახელმწიფოს ტერიტორია ადრე შედიოდა ერაცის სელჩუკთა სასულთანოს შემადგენლობაში. შამსადინ ელდენიზი არანთან

ათაბაგი, ხაჯიბი, „დიდი ათაბაგი“, ერაცული სელჩუკური სულთანატი



შამსადინ ელდენიზი



* ათაბაგი – ერაცის სელჩუკთა სულთანის შვილის აღმზრდელი, რომელიც შემდგომ რეგენტი გახდა

LAYIT



მოგწონს თუ არა ელდენიზის პოლიტიკა? იყო თუ არა ის „დიდი ათაბეგის“ ტიტულის ღირსი? განიხილე თანაკლასელებთან.

თორღულ II მმართველობის ხანასი ელდენიზი სწრაფად მიიწეიდა წინ ხელისუფლებაში. იგი არასოდეს არ ერეოდა სასახლის შეთქმულებებში, არასოდეს არ უჭერდა მხარს ამირებს. სულთანმა დაინახა ელდენიზის ერთგულება და აამაღლა იგი ამირას წოდებამდე.

ზია ბუნიათოვი,
ათაბაგთა აზერბაიჯანული სახელმწიფო, ბაქო, 1985 წელი.

ერთად მმართვედა ასევე სამხრეთ აზერბაიჯანის მიწებს და ნახიჩევანსაც. იგი ბეჭდავდა მონეტას თავისი სახელით.

შამსადინ ელდენიზი გამოტრცეული მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. მოკლე ხანში მან გააერთიანა უამრავი პატარა ფეოდალური მმართველობა. პირველ დედაქალაქად ელდანიზელებისათვის გახდა ნახიჩევანი.


1160 წელს შამსადინ ელდენიზმა „დიდი ათაბაგის“ ტიტული მიიღო და თავისი ნაშვილები არსლან შაჰისთვის (1161–1176) – მოიპოვა სულთნის წოდება. ამის შემდეგ შამსადინ ელდენიზი გახდა ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოს სულთანი. მისი უფროსი შვილი მუჰამედ ჯაჰან ფახლევანი გახდა სულთნის ჰაჯიბი*. უმცროსი შვილი გიზინ არსლანი გახდა მხედართმთავარი. ყველაფერი ამის შედეგად ერაყის სასულთანო გადავიდა ელდანიზელების დინასტიის ხელში და გახდა აზერბაიჯანული. შირვანშაჰთა სახელმწიფოც დაემორჩილა ელდენიზს. აზერბაიჯანის მიწები ხელახლა გაერთიანდა ერთიან სახელმწიფოში.

შამსადინ ელდენიზი იღებდა ზომებს სახელმწიფოს შესანარჩუნებლად. სანხედრო ფორმირებების გარდა, რომელიც ემირებისგან მიიღო შამსადინ ელდენიზს ასევე ძლიერი ცხენოსანთა ჯარი ჰყავდა. განადგურებული იყვნენ ყველა ის ფეოდალები, ვინც არ სცნობდა ცენტრალურ ხელისუფლებას. შამსადინ ელდენიზის დროს ვითარდებოდა ხელოსნობა და ვჭრობა, აღზდგა სოფლის მეურნეობა და კულტურა.

სახელმწიფო შეეწირა პირად ინტერესებს. ელდენიზთა სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა მუჰამედ ჯაჰან ფახლევანის (1175–1186) მმართველობის დროს. მუჰამედ ჯაჰან ფახლევანიმ გადაიტანა დედაქალაქი ხამადანში. მან წაართვა თავრიზი აღსუნგურებს*



*ჰაჯიბი – მუხასაუკუნეებში აღმოსავლეთ მმართველების მთავარი ვაზირი
*აღსუნგურები – ფეოდალური სახელმწიფო სამხრეთ აზერბაიჯანში



აზერბაიჯანში დაიწეს ჩამოსვლა ცნობილმა პოეტებმა, მწერლებმა და არქიტექტორებმა. ათაბაგთა ბრძნული პოლიტიკის გამო, XII საუკუნის მეორე ნახევარი, შედარებით წყნარი იყო და გამოირჩევა ხალხის ნაყოფიერი შრომით.

ზია ბუნიათოვი, ათაბაგთა აზერბაიჯანული სახელმწიფო, ბაქო, 1985 წელი, ფ.190.

გუთლუგ ინანჯი და უკმაყოფილო სელჩუკი ამირები გაერთიანდნენ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

გიზინ არსლანი ერთის მხრივ სცდილობდა დაერეგულირებინა ურთიერთობები სასახლეში, მეორეს მხრივ – სელჩუკთა ამირებთან. 1190 წელს ხამადანთან ბრძოლაში მან დამარცხა თოღრულ III.

1193 წელს გიზინ არსლანმა ხაკიფას თანხმობით, თავისი თავი სულთანად გამოაცხადა. აზერბაიჯანის ათაბაგები, რომელნიც მმართვედნენ შამსადინ ელდენიზის დროიდან იმართებოდნენ ერაყის სელჩუკთა სასულთნოდან, გახდნენ ფორმალური მმართველებიც.


მსხვილი ფეოდალები უკმაყოფილონი იყვნენ გიზინ არსლანის წარმატებით და მოაწყეს შეთქმულება. გიზინ არსლანის სიკვდილის შემდეგ დაიწყო შიდა ომები ხელისუფლებისათვის. აზერბაიჯანში ხელისუფლება ხელში ჩაიგდო მუჰამედ ჯაჰან ფახლევანის შვილმა აბუ ბექრმა (1191–1210). ხელისუფლებისთვის ბრძოლამ ახალი გასაქანი მიიღო.

დაჩქარდა ელდენიზთა სახელმწიფოს დაცემის პროცესი. გააქტიურდნენ ხორეზმშპები, შირვანშაჰები და ქართველი ფეოდალები. მართალია აბუ ბექრმა დაამარცხა ისინი მან მაინც ვერ შესძლო სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება. 1194 წელს შირვანშაჰთა და ქართველთა ჯარმა დაამარცხა აბუ ბექრი შამხორთაისა და ბელაქანის ბრძოლებში.

განხორციელდა ქართველთა თავდასხმები აზერბაიჯანის ტერიტორიებზე. იმის მიუხედავად რომ, ნახიჩევანს ალყა შემოარტყეს მაინც ვერ შესძლეს მისი აღება. მთ დაიპყრეს მარანდი და ალყა შემოარტყეს თავრიზს. მუჰამედ ჯაჰან ფახლევანის მეუღლემ ზაჰიდა ხათუნმა მისცა თავისი სამკაულები და ამით დაიცვა ქალაქი გაძარცვისაგან. ასევე გადარჩა ქალაქი მინანეც. ამ ქალაქის მაცხოვრებლებმა ქრთული ჯარის წასვლის შემდეგ გაანადგურეს მტრის გარნიზონი.

ათაბაგ უზბეკის (1210–1225) მმართველობის დროს ელდენიზთა სახელმწიფოს დაშლის პროცესები

?
რა შიდა და გარე ფაქტორები მოქმედებდნენ სახელმწიფოს დაშლის პროცესზე? გამოთქვი შენი აზრი.



კიდევ უფრო დაჩქარდა. მონღოლების დასხმის წინა პერიოდში დასუსტებული შირვანშაჰები, ხორეზმშაჰები და ელდანიზელები არ იყვნენ იმ მდგომარეობაში რომ, რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ მონღოლთათვის.



1. რა იყო სელჩუკთა დასუსტების მიზეზი?
2. როგორ მოიპოვეს ელდენიზელებმა დამოუკიდებლობა?
3. რა მომოქმედა შამსადინ ელდენიზმა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესანარჩუნებლად?



1. დაამტკიცე რომ, შამსადინ ელდენიზი ნიჭიერი მხედართმთავარი იყო.
2. თანამედროვე რუკაზე გვაჩვენე ელდენიზელების ტერიტორიები შამსადინ ელდენიზის სიცოცხლის ბოლოს.
3. შეადარე მუჰამედ ჯაჰან ფახლევანი და გიზინ არსლანი ერთმანეთს, გაარკვიე რა საერთო გააჩნდათ მათ.

ნახიჩევანი იყო მრავალრიცხოვანი ქალაქი კარგად განვითარებული ხელოსნობით. ადგილობრიმი ხელოსნების მიერ დამზადებული ხალიჩები, ტყავის ნაწარმი, ფაიფურისა და ხის ჭურჭელი, კერამიკა და ასევე ძვირფასი ლითონის ნაკეთობები იყიდებოდა მთელს მსოფლიოში.

შამსადინ ელდენიზის მმართველობის დროს ქალაქი იყო ათაბაგთა აზერბაიჯანის ერთ-ერთი დედაქალაქი და გადაიტანა თავისი აყვავების ხანა.

ზია ბუნიათოვი, ათაბაგთა
აზერბაიჯანული სახელმწიფო,
ბაქო, 1985 წელი, გ.190.

LAYIH

14. აღორძინების* კულტურა

აღმოსავლეთში შექმნილი აღორძინების კულტურა, მათ შორის აზერბაიჯანშიც არის მსოფლიო ისტორიის ნათელი მხარე. ეს აღორძინება არის დიდი მიღწევების ლოგიკური შედეგი აზერბაიჯნელი ხალხის მიერ ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში დაპყრობილი მწვერვალებისა.

ჰეიდარ ალიევი



როგორც გახსოვს 2012 წელს ბაქოში ჩატარდა ევროპის ყველაზე ავტორიტეტული მუსიკალური კონკურსი – „ევროვიზია“. ჩვენს დედაქალაქში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ უამრავი ტურისტები. ეს მოვლენები მოწმობს ჩვენი მუსიკალური კულტურის უმაღლეს განვითარებაზე.

ამ გამარჯვების საწინდარი გახლდათ ჰეიდარ ალიევის ფონდის ხელმძღვანელის მეჭრიბან ხანუმ ალიევასა და იუნესკოს მიერ განხორციელებული პროექტები, რაც მონაწილე ახალგაზრდების ობიექტურად შერჩევის შედეგია. მუდამი არის მსოფლიო მუსიკალური მარგალიტი, რომელიც ეხლა კვლავ იწყებს აღორძინებას.

რომელ პერიოდს მიეკუთვნება აღორძინების ხანა? როგორ მოქმედებს ერთიანი სახელმწიფოს არსებობა კულტურულ პროგრესზე? აღნიშნე შენი აზრები.



აღორძინება, გახმანარი, გათრან თავრიზელი, აჯები, აზუბეროღლუ, გიულისტანის ციხე

აზერბაიჯანის კულტურა არის მუსულმანური აღორძინების შემადგენელი ნაწილი. ისლამური კულტურა არის საერთო კულტურა ყველა იმ ხალხებისა, რომელმაც მიიღო ისლამი.

დაახლოვებით IX საუკუნის ნახევრიდან იწყება მუსულმანური კულტურის აღორძინება. აზერბაიჯანელი განმანათლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ კულტურის შექმნაში. პოლიტიკურმა დამოუკიდებლობამ შექმნა კარგი საფუძველი მატერიალური და სულიერი კულტურის აღორძინებისათვის. იმის მიუხედავად რომ, ჩვენი სამშობლო არაერთხელ გაიძარცვა და გაპარტახდა ჩვენმა ხალხმა მაინც შესძლო



აღნიშნე რვეულში მუსულმანური ქვეყნების სახელწოდებები, რომელიც კი იცხე



*აღორძინება (რენესანსი) – აყვავება, ახალი ამალეება

თავისი კულტურული მემკვიდრეობის გადა-
რჩენა და შემონახვა.

პოლიტიკური აღორძინება გახდა კარგი
ბიძგი კულტურული აღორძინებისათვის.
გიანჯაში, ბარდაში, შამახაში, დერბენტში,
თავრიზში, არდებილში არსებობდნენ აღმო-
სავლეთში განთქმული მედრესეები, რომელნიც
იძლეოდნენ სრულყოფილ განათლებას. დამ-
წყებით სკოლებში, რომელნიც არსებობდნენ
მეჩეთებთან ისწავლებოდა ყურანი, ბავსვებს
ეძლეოდათ ბრწყინვალე საწყისი განათლება.

თანდათანობით იზრდებოდა ინტერესი
მეცნიერების სხვადასხვა დარგებისადმი.
მედრესეში შარიათთან ერთად ისწავლებოდა
ლოღიკა, აღმოსავლური ენები, სხვადასხვა
ბუნებრივი მეცნიერებები.


აზერბაიჯანულმა მეცნიერებამ მოახდინა გარკვე-
ული გავლენა მსოფლიო მეცნიერებაზე. ეს გამოძ-
ინარეობდა იმისგან რომ, აზერბაიჯანი იყო განვითა-
რებული სამყაროს ერთ-ერთი ცენტრი, და ასევე
გააჩნდა კარგი გეოგრაფიული მდებარეობა.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერები იყვნენ მოწინავე პოზი-
ციებზე მსოფლიო მეცნიერებაში, მედიცინაში, ასტ-
რონომიაში, ისტორიაში და გეოგრაფიაში. აზერბაიჯ-
ანელი ფილოსოფოსის ბაჰმანიარ იბნ მარზბანის
ნამუშევრებმა სერიოზული წვლილი შეიტანეს მსოფლიო
ფილოსოფიის განვითარებაში.

ჰათიბ თავრიზელმა დაწერა უამრავი ნაშრომი
ლოღიკასა, ფილოსოფიასა, ენათმეცნიერებასა და სხვა
დარგებში. 40 წელიწადზე მეტი იგი ასწავლიდა ბაღ-
დადის ნიზამიეს მედრესეში.

XII საუკუნის გამოჩენილი ასტრონომი ფაზილ
ფარიდდინ შირვანიმ შექმნა უნიკალური ასტრონო-
მიული ცხრილები.

პოქის ცხოვრება ლიტერატურაში. XI-XII საუკუ-
ნეებში ლიტერატურამ მიაღწია კიდევ უფრო დიდ
განვითარებას. ამ ხანაში მთელს ქვეყანაში გავრცელ-
და ერთ-ერთი ზეპირსიტყვიერების უნიკალური
დასტანი „კიტაბი დედე გორგუდისა“.



ბაჰმანიარი. სკულფტორი
მიუნხაგარ რზაევი



განალიზე აზერ-
ბაიჯანის გეოგ-
რაფიული მდგ-
ომარეობის გავ-
ლენა მეცნიერე-
ბისა და კულტურ-
ის განვითარე-
ბაში.



შეეცადეთ გაიხ-
სენოთ ლიტერა-
ტურული აღორ-
ძინების ხანის
ნაწარმოებები
რომელნიც ლი-
ტერატურას ი
გაიარეთ. მოგი-
ყვი პოეტზე.

LAYERS



გათრან თავრიზელი. მხატვარი
ელმირა შახტახთინსკაია

დასტანის ბოები (თქმულებები), რომლებიც ჩაწერილი იყო IX–XI საუკუნეებში ცნობილი იყო ყველასათვის სადაც კი ცხოვრობდნენ ოლუხები. აღორძინების ხანაში აზერბაიჯანული თურქული ენა იყო ერთადერთი ენა რომელზეც ყველა ლაპარაკობდა.


წერთი ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელნიც იქმნებოდნენ მმართველების სასახლეებში, დიდი ქალაქების ლიტერატურულ გარემოში იქმნებოდა არაბულ და სპარსულ ენაზე.

აღორძინების ხანის ერთ-ერთ გამოჩენილ მწერლად ითვლება გათრან თავრიზელი. მისი ნაშრომები შეიძლება ჩაითვალოს XI საუკუნის მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროებად.

აღორძინების ხანის ერთ-ერთ გამოჩენილ პოეტად ითვლება მეხსეთი განჯევი. მისი მრავალი რუბაი ეძღვნებოდა მუშებს და გლეხებს.

აფხალადინ ხაგანი შირვანი იყო აღორძინების ხანის ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი. იგი იყო აზერბაიჯანის ისტორიაში პირველი პოემის ავტორი. ხაგანის შემოქმედება დიდ გავლენას ახდენდა მთელი აღმოსავლეთის ლიტერატურაზე.

აღორძინების ხანის ლიტერატურის მწვერვალს წარმოადგენდა ნიზამი განჯევის შემოქმედება (1141–1209). მისმა შემოქმედებამ ძლიერი ბიძგი



მეხსეთი განჯევი.
მხატვარი გიული მუსტაფაევა


მისცა აღმოსავლური და მსოფლიო ლიტერატურის და პოეზიის დასაბამს. უკვდავმა „ხამსე“ -მ (ხუთტომეული) პოეტს მსოფლიო ცნობადობა და უკვდავება. ნიჰამის შემოქმედებამ მიმართულება მისცა დასავლეთევროპულ აღორძინებას.

აღორძინების მარგალიტები. ხელოვნება. არქიტექტურა. XI–XII აზერბაიჯანის არქიტექტურაში დაიწყო აღორძინების ხანა. სახელმწიფოში შეიქმნა მსოფლიო არქიტექტურის იშვიათი მარგალიტები. შენდებოდა უამრავი მეჩეთი, მინარეთი, სასახლე, ციხე-სიმაგრეები, კოშკები და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობები.

აზერბაიჯანის აღორძინების ყველაზე გამორჩენილ ხუროთმოძღვრად ითვლება აჯემი აზუბექრის შვილი. იგი XII საუკუნეში ელდენიზთან სახელმწიფოს დედაქალაქში -ნახიჩევანში ცხოვრობდა. აჯემიმ აღმართა იუსიფ იბნ კუსეირისა და მომინე ხათუნის მაგზოლუმი, გოშამინარე, ჯუმა მეჩეთი, ელდენიზთან სასახლე და სხვა უნიკალური ძეგლი. მან გაამდიდრა მანამდე არსებული არქიტექტურა, მათემატიკური გათვლებების საფუძველზე შექმნა რთული არქიტექტურული კომპლექსები. აჯემი გახდა ნახიჩევანის არქიტექტურული სკოლის დამაარსებელი. მისმა ხუროთმოძღვრების ძეგლებმა გავლენა იქონია მთელ აღმოსავლეთის არქიტექტურაზე. აჯემის ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში უწოდებდნენ „ინჟინერიის შეიხს“.

XII საუკუნის ერთ-ერთი მარგალიტი ქალწულის კოშკი ან ყიზყალასი

ნიჰამი განჯევის ძეგლი.
ბაქი. სკულფტორი ფუად
აბდურახმანოვი




აფზალადინ ხაგანი შირვანი.
შაბრანი. სკულფტორი
ჯამალ რუსტამოვი



LAYI.H



ნიზამი განჯევის მავზოლეუმი. განჯა



ქალაქ ბაქოში. კომპის არქიტექტორი იყო მასუდ დავუდ ოღლუ. კომპს, რომელიც წარმოადგენს თავდაცვით ნაგებობას გაჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. სვნა კომპებს მარდაქიანისას – აზშერონზე, გულისტანისას – შირვანში და ბაგურდის კომპს ასევე ახასიათებენ აღორძინების ელემენტები.

აზერბაიჯანელი ხელოსნები რკინისაგან ქმნიდნენ უნიკალურ ნიმუშებს.

ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს განჯის კარი.

მე-IX საუკუნის ნახევრიდან აზერბაიჯანული აღორძინება

აჯემი ნახიჩევანელის ძეგლი.
ნახიჩევანი. მოქანდაკე კიამალ
ალექპეროვი

LAY III



მომინე ხათუნის
მავზოლეუმი. ნახიჩევანი



გოშამინარს.
ნახიჩევანი

იზრდებოდა აღმავლად XII საუკუნემდე. ამ ხანაში შექმნილი იქნა ისეთი მარფგალიტები, რომლებმაც დღემდე არ დაკარგეს თავისი აქტუალობა.



1. მოახდინა თუ არა აზერბაიჯანულმა აღორძინებამ დადებითი გავლენა მსოფლიოზე?
2. XI–XII საუკუნის ლიტერატურის რომელი წარმომადგენლის დასახელება შეგიძლია?
3. რატომ უწოდებდნენ მემარა აჯემის ნახიჩევანის არქიტექტურული სკოლის დამაარსებელს?
4. რატომ ვსთვლით აღორძინების ხანის ძეგლებს არქიტექტურის მარფგალიტებად?



1. გააკეთე კომენტარი თუ რატომ დაიწყო აზერბაიჯანული აღორძინების ხანა არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ?
2. დაამტკიცე აზერბაიჯანული აღორძინების გავლენა მსოფლიოს ცივილიზაციაზე.
3. გაანალიზე ქალწულის კომპის განსხვავება სხვა კომპებისაგან.
4. დაამტკიცე რომ, აჯემის არქიტექტურული ნიმუშები შეიქმნა სხვა მეცნიერებების სინთეზის წყალობით.

LAYIIE

სამეფოსთვის ბრძოლა

15. მონღოლები აზერბაიჯანში



ბურხანი თავისი თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად ეწვია შეიჰიდთა ალეს. მასწავლებელი მოუყვა შეხიდეების შესახებ. ბურხანს ძალიან დააინტერესა ერთ-ერთი შეხიდის შესახებ. ეს გმირი ჯარისკაცი იყო მზვერავი, რომელსაც მიენიჭა აზერბაიჯანის გმირის წოდება. მასწავლებელმა ასევე აღნიშნა რომ, ამ გმირმა – შახლარ გუსეინოვმა იცოდა მტრის ენა. იგი, როგორც მზვერავი ეხმარებოდა ჯარისკაცებს და

ამსხვრევდა მტრის გეგმებს. ბურხანი აღფრთოვანებული უსმენდა მასწავლებელს. მან უთხრა თავის თანაკლასელებს:

– მეც მზვერავი ვიქნები.

როგორ სთვლი ვის უძახიან მზვერავს? წარსულში უცხოელი დამპყრობლები რა მიზნით აგზავნიდნენ მზვერავებს ჩვენს ქვეყანაში. დაპყრობის დაგეგმვის შემდეგ ისინი იჭრებოდნენ ჩვენს ქვეყანაში. რას პიქრობ, ვინ და რა მიზნით აგზავნიდა თავის მზვერავებს ჩვენს ქვეყანაში?



ჩინგიზ ყაენი, მონღოლები, ხვარაზმის პრინცი ჯალალედინი, იარლიკი



შეადარე სელჩუკთა და მონღოლების შემოსევას.

პირველი დაზვერვითი ხასიათის მქონე შემოსევა.

მონღოლურმა სახელმწიფომ, რომელიც შეიქმნა 1206 წელს, იმავდროულად დაიწყო დაპყრობები. ეს ცენტრალური აზიის სახელმწიფო შექმნა ჩინგიზ ყაენმა. მონღოლეთის ჯარმა დაიპყრო უზარმაზარი ტერიტორიები აზერბაიჯანში შემოსვლამდე. 1220 წელს მონღოლური ჯარი ჯებესა და სუბუტაის ხელმძღვანელობით შემოიჭრნენ აზერბაიჯანში და თავრიზამდე მივიდნენ. ქალაქი მაგარი კედლებით იყო გარშემორტყმული. ეს რომ, მონღოლებმა დაინახეს, დაიწყეს მოლაპარაკებების წარმოება. დასუსტებულ ელდენიზთა სახელმწიფოს არ შეეძლო თავრიზის დაცვა. ათაბაგ უზბეკმა სცადა თავრიზის გადარჩენა მონროლებისადმი ხარკის შეთავაზრებით. მონღოლები იძულებულნი გახდნენ გამოეხადნენ მულანში.

როდესაც მონროლებმა შეიტყვეს რომ, ქართველები და ათაბაგები ჯარებს აგროვებენ მონლოლების წინააღმდეგ, ისინი საქართველოსკენ გაილაშქრნენ. ქართველი მეფის დამარცხების შემდეგ, მონროლები ისევ თავრიზისკენ დაიდრნენ. ქალაქმა ხარკი გადაიხადა და გადაურჩა დარბევას.

1221 წელს მონროლები თავს დაესხნენ მარაგას და გამარცხეს ის. არდებილის დაპყრობის შემდეგ უკვე მესამედ მიუახლოვდნენ თავრიზს. ათაბეგ უზბეკმა ნახიჩევანისკენ დაიხია. თავრიზის მმართველმა შამსადინ თურგამი გააძლიერა ქალაქის კედლები და ამით გააძლიერა ქალაქის თავდაცვისუნარიანობა. მონლოლთა მხედართმთავარმა, რომელსაც სურდა თავისი ჯარის გადარჩენა, კვლავ აიღო გამოსასყიდი. მონლოლთა შემოსევების დროს შამახამ და ბეილქანმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. 1222 წელს მონლოლებმა შესძლეს შამახას აღება, რომელიც დაანგრიეს. ამის შემდეგ მონლოლები ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ. როდესაც მიხვდნენ რომ, დერბენტს ვერ აიღებდნენ მათ დატოვეს აზერბაიჯანი.

ჯალალედინი აზერბაიჯანში. გამარჯვული აზერბაიჯანი დასუსტებული იყო. 1225 წელს ხვარაზმთა იმპერიის ბოლო მმართველი პრინცი ჯალალედინი ახალ მიწებზე დამკვიდრების მიზნით დაესხა აზერბაიჯანს. მარაგის აღების შემდეგ იგი თავრიზისაკენ დაიდრა. ათაბეგთა ბოლო მმართველი უზბეკი ნახიჩევანისაკენ ციხე-სიმაგრე ალინჯიში შეეფარა. მმართველის გარეშე დარჩენილი თავრიზის მოსახლეობა ქალაქის თავის მეთაურობით დადგა ქალაქის დასაცავად. ერთი კვირის განმავლობაში თავრიზელები იცავდნენ საკუთარ ქალაქს. ჯალალედინმა გაიმარჯვა. შემდეგ განჯა დაიპყრო. ჯალალედინმა განჯა აირჩია თავის რეზიდენციად და მოსახლეობას დააკისრა დიდი გადასახადები. მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა ამას და ხშირად ჯანყდებოდა. აჯანყება, რომელიც თავრიზში დაიწყო მთელს აზერბაიჯანზე გავრცელდა.

1231 წელს განჯაში ხელოსან ბანდარის ხელმძღვანელობით დაიწყო აჯანყება.

აჯანყებულები სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეეხნენ, მაგრამ ჯალალედინმა სძლია მათ. ბანდარის



თათრებმა (იგულისხმებიან მონლოლები) დაიპყრეს და დაანგრიეს ბეილქანი და მის გარშემო მყოფი მიწები გამარცხეს. შემდეგ ისინი განჯისაკენ დაიდრნენ, რომელიც არანის მთავარი ქალაქი იყო. მაგრამ, მონლოლებმა როდესაც გაიგეს განჯელების სიმამაცეზე, ვერ მიუახლოვდნენ მას. მათ გააგზავნეს ხალხი და სთხოვეს ფული და ტანსაცმელი. მოსახლეობამ შესრულა მათი თხოვნა. მონლოლებმა დასტოვეს მიმდებარე ტერიტორიები.

იმნ ალ-ასირი



აღნიშნეთ რუკაზე ქალაქები, რომლებსაც დაესხა თავს ჯალალედინი.


LAYI

აზერბაიჯანი XIII საუკუნეში



?
რომელი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო მარაგა?

სხეული დაქუცმცეებული იქნა, ასევე სხვა აჯანყებულების ხელმძღვანელების სხეულებიც. იმის მიუხედავად რომ, ჯალალედინმა შესძლო აჯანყების ჩახშობა, სხვა ტერიტორიებზე მაინც გრძელდებოდა აჯანყებები.



ჯალალედინმა, რომელსაც არ შეეძლო სწორად მმართვეა, პირიქით შეასუსტა თავისი სახელმწიფო. ამით მან მონღოლებს თავდასხმისათვის ხელსაყრელი პირობა შეუქმნა.

ამჯერად მონღოლები შემოვიდნენ დასამკვიდრებლად. 1231 წელს მონღოლთა ჯარი, ნოიონ ჩორმაგუნის მეთაურობით, შემოიჭრა აზერბაიჯანში. ეს იყო მათი მეორე შემოსევა. მოსახლეობა იმყოფებოდა გაუსაძლის პირობებში და ვერ ახერხებდა თავის დაცვას. ამის მიუხედავად ხალხი მაინც ადგა სამშობლოს დასაცავად. მარაგა, რომელმაც სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მტერს მაინც დაეცა. შემდეგ მონღოლებმა ალყა შემოარტყეს თავრიზს. თავრიზი ისევ მოლაპარაკებაზე წამოვიდა. ქალაქში ეშმაკობით შეჭრილმა მონღოლებმა ტყვედ აიყვანეს თავრიზელი ხელოსნები და ყარაყორუმში გააგზავნეს.

მონღოლების შემდგომი მიზანი იყო განჯა. 1235 წელს, დიდხნიანი ალყის შემდგომ მონღოლებმა განჯაც აიღეს. შემდგომ მონღოლებმა შამქირი (შამხორი) დაიპყრეს და მოსახლეობა გაწყვიტეს. 1239 წელს მონღოლებმა ბაქო და დერბენტი აიღეს. ამით მთელი აზერბაიჯანი მონღოლების დაქვემდებარებაში აღმოჩნდა.

მონღოლები მოვიდნენ ამ მიწებზე დამკვიდრების მიზნით და დამკვიდრდნენ სამხრეთ კავკასიაში. აზერბაიჯანი და სამხრეთ კავკასია იმართებოდა მონღოლთა იმპერიიდან დანიშნული მეფისნაცვლებით მიერ. ყველა ნაყოფიერი მიწები მონღოლებს გადაეცადა. ადგილობრივი ფეოდალები იძულებულნი იყვნენ იარლიკი (სპეციალური დოკუმენტი მიწისფლობასთან დაკავშირებით) მიეღოთ.

მონღოლთა მეფისნაცვლები ერთმანეთთან ომობდნენ ხელისუფლებისათვის. ეს ომები მათი დასუ-



მონღოლთა იარაღები. აზერბაიჯანის ეროვნული მუზეუმი



შეადარე ბანდარას და ხურამიტა აჯანყება. ჩაწერე აზრები რვეულში.



ჩაატარეთ მსჯელობა თანამედროვე განჯის განვითარებაზე.

LAYTHE



მონღოლთა თავდასხმისაგან თავდაცვა

სტეხით და მათი ხელისუფლების ლიკვიდაციით დამთავრდა.



1. როგორ ახსნი მონღოლთა დაზვერვით შემოსევას აზერბაიჯანზე?
2. რითი დამთავრდა მონღოლების პირველი შემოსევა აზერბაიჯანისათვის?
3. რა მდგომარეობა იყო აზერბაიჯანში მონღოლთა მეორე შემოსევის წინ?



1. განმარტე სიტუაცია აზერბაიჯანში მონღოლთა შენმოსევის წინ.
2. აღწერე ხვარაზმთა იმპერიის პრინცის ჯალალედინის მმართველობა აზერბაიჯანში.
3. განმარტე მონღოლთა მეორე შემოსევის მიზანი.
4. დასწერე მონღოლთა ოკუპაციის დროს შექმნილ მმართველის სისტემაზე აზერბაიჯანში.

LAYIHA

16. მონღოლთა მესამე ლაშქრობის შედეგად შექმნილი სახელმწიფო



ნარმინის მამას უყვარდა წიგნები. პროფესიით ეკონომისტი ის დიდ დროს უთმობდა ისტორიული წიგნების კითხვას. ნარმინს ასევე უყვარდა კითხვა და მერე წაკითხულის განხილვა მამასთან. ერთხელ ნარმინი მოუყვა მამას ერთ საინტერესო ფაქტზე, რომელიც წაიკითხა და სთხოვა მამას თავისი აზრი გამოეთქვა ამის შესახებ:

მამა, მე წავიკითხე წიგნში, რომ აზერბაიჯანის ტერიტორია XIII საუკუნეში 250 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. სკოლაში კი გვასწავლეს რომ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორია 86,6 კვ. კილომეტრს შეადგენს, რატომ?

ნარმინის მამამ დაწვრილებით აუხსნა ბავშვს ყველაფერი.

როგორ სთვლი რა მოვლენებმა შეიძლება შეამციროს სახელმწიფოს ტერიტორია? შეიძლება ეს მოხდეს მშვიდობიანი გზით? დამტკიცე შენი აზრები.

ელხანიდები, რომლებმაც ბაღდადის სახალიფოს ბოლო მოუღეს. გაძლიერდა ადგილობრივი ფეოდალების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, რომლებმაც გამოიყენეს მონღოლთა სასახლის შიდა ინტრიგები. მონღოლთა ხაგანმა, რომელიც უკმაყოფილო იყო ამით, გასცა ბრძანება ლაშქრობის დაწყებაზე. მონღოლები ხულაგუ ხანის მეთაურობით შემოჭრნენ წინა აზიაში. ხულაგუ ხანმა დაიმორჩილა ირანი, არაბული ერაყი, სირია და სხვა უანრავი წვრილი მმართველობები. ოკუპაციამ, რომელიც ისტორიაში „მონღოლთა მესამე შემოსევის“ სახელით შევიდა მოიცა უზარმაზარი ტერიტორიები. 1256 წელს ხულაგუ ხანმა კვლავ დაიპყრო აზერბაიჯანი და ბაღდადს გაემურა. 1258 წელს ხულაგუიდებმა გაანადგურეს არაბთა სახელმწიფო და შექმნეს თავისი, რომელსაც მმართვედა მონღოლების მიერ დანიშნული პირი, რომლის ტიტულიც „ელხანი“ იყო. ხულაგუიდთა სახელმწიფო, რომელიც ას წელიწადზე მეტი არსებობდა აზერბაიჯანში ცნობილია, როგორც „ელხანიდთა“ სახელმწიფო.


ხულაგუიდები, დაცემა, მომთაბარე ფეოდალები, ულუს ჯუღჯი, გასან ხანი

?

თუ მონღოლთა მეორე შემოსევის დროს აზერბაიჯანი ოკუპირებული იყო, რატომ შესდგა მესამე შემოსევა?



როგორ გგონია, რატომ ამყარებდა ხულაგუ ხანი იმედებს მომთაბარე ფეოდალებზე? განმარტე შენი აზრი.

სახელმწიფოს მიწები იწყებოდა ამუდარიიდან და ხმელთაშუა ზღვას აღწევდა, სპარსეთის ყურედან დერბენტამდე. აზერბაიჯანი იყო ყველაზე განვითარებული მხარე ამ სახელმწიფოში. ხულაგუიდთა საზაფხულო რეზიდენციები იყო მარაგა, თავრიზი და სულთანზე და ისევ თავრიზი და ყარაბაღი. ზამთრის რეზიდენცია კი მულანი.


ხულაგუ ხანიმა, რომელიც ეყრდნობოდა მომთაბარე ფეოდალებს, დააკისრა პროვინციების მმართვეა და სამხედრო საქმე ამირებს. მოკლე ხანში მან შესძლო ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ ხულაგუ ხანის და ოქროს ურდოს ხანების ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. მონღოლთა იმპერიის დამაარსებლის ჩინგიზ ყაენის ანდერძის მიხედვით აზერბაიჯანის მიწები ულუს ჯუჯის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ. ოქროს ურდოს ხანები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ ხულაგუ ხანის მიერ ამ ტერიტორიის მითვისებით ხშირად ესხმოდნენ ამ მიწებს. ხულაგუ ხანი და მისი მიმდევრები ჰკვეთდნენ ამ შემოსევებს.

მმართველი, რომელმაც თავი შაჰად გამოაცხადა ყარაბაღში. ხულაგუ ხანის სიკვდილმა გააძლიერა ხელისუფლებისათვის ბრძოლა. ყაზან-ყაენი (1295–1304), რომელიც ავიდა ტახტზე გრძელვადიანი ბრძოლების შედეგად, დაამთავრა ეს შიდა ომები. მან ყარაბაღში თავი ფადიშაჰად გამოაცხადა და გადავიდა დაუყონებლივ მოქმედებებზე. გამოაცხადა სახელმწიფოში ისლამური რელიგია სახელმწიფო რელიგიად და აიღო სახელი მაჰმუდი. მანჩაახშო აჯანყებები ქვეყანაში. ხულაგუიდთა სახელმწიფოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად მან რიგი რეფორმები ჩაატარა. ამაში მას ვაზირი ფაზლულაჰ რაშიდ ად-დინი ეხმარებოდა. ყაზან-ყაენმა ჩაატარა რიგი რეფორმები



როგორ ფიქრობ, ყაზან-ყაენმა რატომ გამოაცხადა თავისი თავი ფადიშაჰად ყარაბაღში? განმარტე შენი აზრი.

ყაზან-ყაენის რეფორმები



მიწასთან, გადასახადებთან, სასამართლო სისტემა-
სთან, კავშირთან და ვაჭრობასთან დაკავშირებით.

მიწის რეფორმის ცატარებისას მან დაარიგა მიწები
– იქტა იმ ხალხზე, რომელნიც ჯარში მსახურობდნენ.
იქტას მიწის გაჩუქება და მემკვიდრეობით გადაცემა
არ შეიძლებოდა. იქტას მესაკუთრის სიკვდილის
შემდეგ იქტა გადაეცემოდა იმ ჯარისკაცს, რომელიც
მსახურობდა. 1303 წლის ბრძანებით, გლეხებს ეკრძა-
ლებოდათ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. ამ
რეფორმების მიზანი იყო სოფლის მეურნეობის განვი-
თარება, გლეხების მიწაზე მიბმა, იმიტომ რომ, მონღ-
ოლთა შემოსევის შედეგად აზერბაიჯანის მიწები
ძირითადად მომთაბარეებისათვის სამოვრებათ
იქცნენ.

მიღებული იყო ზომები დაუმუშავებელი მიწების
მიმართაც, ამ მიწებს ბაირატს უძახდნენ. უპატრონო
მიწები გადაეცა დივანებს. მოძებნილი იყო ახალი
მეპატრონეები ამ მიწებისათვის.



შეაფასე ყაზან-
ყაენის რეფორმ-
ები.

მონღოლები
ხაკრკის
აკრევისას



LAYTHE

ჩატარებული იყო რეფორმა, რომელმაც გადასახადების აკრება მოაწესრიგა. შედგენილი იყო გადამხდელთა სიები, დაწესდა დრო, ადგილი და გადასახადის მოცულობა ყოველი ქალაქისათვის და დასახლებული პუნქტისათვის. ეს სიები გამოქვეყნებული სპეციალურ ადგილებზე. აიკრძალა უკანონო გადასახადების მოთხოვნა. გადასახადის გადახდა ხდებოდა ან ფულით ან ნატურით.

კორუფციისა და უსამართლობის აღმოსაფხვრელად ჩატარდა სასამართლო სისტემა. ოცდაათწლიანი სასამართლო სარჩელები გაუქმებული იქნა. „გაზის“ (სასულიერო მოსამართლეები) თანამდებობებზე დაინიშნა პატიოსანი ხალხი. მათგან აყებულ იქნა ვალდებულება სამართლიანი განსჯისათვის. მაგრამ სასამართლო რეფორმა ბოლომდე ვერ ჩატარდა.

შექმნილი იქნა კავშირის სისტემა. დაახლოებით 20 კილომეტრის მანძილებზე შექმნილი იყო კავშირების პუნქტები – „იამები“. მათ ამირები ხელმძღვანელობდნენ. ამისათვის მათ გამოეყოფოდათ გარკვეული სახსრები. ამირებს ეკრძალებოდათ მოსაკრებლის აღება მოსახლეობიდან იამების მოსამსახურებლად.

მიღებული იქნა ზომები ვაჭრობის განვითარებისათვის. ერთიანი ფულის, წონისა და მოცულობის შემოღებით გაადვილდა ვაჭრობის განვითარება. შეიქმნა ჯარის რაზმები საქარავნო გზების დასაცავად. ყველა ამ რეფორმამ გაადვილა მოსახლეობის მდგომარეობა. ხულაგიდთა სახელმწიფოს ეკონომიკა გაძლიერდა.

გაზან ხანის სიკვდილის შემდეგ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ცოტა ხანი გასძლო. იმის გამო რომ, ხელისუფლებაში მოსული აბუ საიდი (1316–1335) მცირეწლოვანი იყო სახელმწიფოს მმართვედა ამირ ჩოხანი. მისმა მმართველობამ გამოიწვია უკმაყოფილება ზოგიერთ ფეოდალებში. ჩატარდა გამოსვლები ამირ ჩოხანის წინააღმდეგ. უკვე გაზრდილი აბუ საიდი თვითონაც იღებდა მონაწილეობას ბრძოლებში. ამიტომაც მას უწოდებდნენ „ბახადირს“. აბუ საიდმა შემოიკრიბა ის ფეოდალები, რომელნიც ამირ ჩოხანის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

 რა ადგილი უკავია კავშირის ადამიანის ცხოვრებაში? განიხილე მეგობრებთან.

LAYIT

1328 წელს აბუ საიდმა სიკვდილით დასაჯა ამირ ჩობანი. მაგრამ ფეოდალური ომები არ შეწყვეტილა. აბუ საიდის სიკვდილის შემდეგ ფეოდალური ომების შედეგად დასუსტებულ სახელმწიფოს ოქროს ურდო შემოესია.

ხელისუფლებისათვის ბრძოლა ხელახალი ძალით გამძაფრდა. ჩობანიდები, ჯელაირიდები, შირვანშაჰები სცდილობდნენ ძალაუფლების ცაგდებას ხულაგუიდთა სახელმწიფოში. ჩობანიდები, რომელიც მმართველად ხულაგუიდთა სახელმწიფოს ცუდად ექცეოდნენ მოსახლეობას. ისინი ძალით ახრჩობდნენ აჯანყებებს. ამ სიტუაციიდან გამოსავლის ძებნაში მოსახლეობამ მიმართა ოქროს ურდოს ხანს ჯანიბეგს. 1357 წელს ჯანიბეგმა თავრიზში დაასრულა ჩობანიდთა მმართველობა. ხულაგუიდთა სახელმწიფომ დაასრულა თავისი არსებობა.



1335 წელს „იმ-ათმა (უზბეკის ჯარი) უკან დაიხიეს, მათ დატოვეს აქ (განჯაში) ყველა თავისი ქონება და უკან დაიხიეს... ისინი დერბენტამდე გარბოდნენ, მერე თავის სახელმწიფოში წავიდნენ“.

**ხამდულაზ
გაზვინი**




1. რა იყო ხულაგუიდთა სახელმწიფოს შექმნის წინაპირობა?
2. რაში მდებარეობდა ყაზან-ყაენის მიწის რეფომა?
3. რა გახდა სახელმწიფოს დაცემის მიზეზი?



1. ახსენი ზომები, რომელიც ხულაგუ ხანმა მიიღო.
2. გაანალიზე ყაზან-ყაენის სხვა რეფორმები.
3. ახსენი ჩობანიდთა მიერ ხულაგუიდთა სახელმწიფოში ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზეზი.
4. აღწერე ხულაგუიდთა როლი აზერბაიჯანისათვის.

LAYIH

17. ბრძოლა აზერბაიჯანისათვის



შეხედე ამ სურათს, ეს არის ალინჯას ციხესიმაგრე, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა თემურს. როგორ სთვლი შესაძლებელი იყო თუ არა ამ ციხეში დიდხანს თავდაცვა შუასაუკუნეებში? რა პირობები უნდა ყოფილიყო ამ ციხეში რომ დიდხანს გაეზლოთ მის თავდამცველებს.

გმარკვე აზერბაიჯანისათვის ბრძოლის მიზეზების გამმაფრების მიზეზები XVI საუკუნის მეორე ნახევარში?



ჯალაირიდები, მმართველობის სისტემა, ამირ თემური, ჩობანიდები.

შესაძლებლობა, რომელიც ჯალაირიდებს მიეცათ.

ერთ-ერთი ტომი, რომელიც ხულაგუ ხანს შემოყვინა აზერბაიჯანში – ჯალაირიდთა ტომი იყო. იგი მალე გაძლიერდა. ხელისუფლებაში ყოფნის სურვილმა გაამძაფრა მათი ბრძოლა. იმის მიუხედავად რომ, ჩობანიდებმა დაამარცხეს ისინი, მათ მაინც შექმნეს თავიანთი სახელმწიფო. 1340 წელს შეიხ გასან ჯალაირიდმა შექმნა ჯალაირიდთა სახელმწიფო.

1357 წელს ოქროს ურდოს მმართველმა ჯანიბეგმა დაამარცხა ხულაგუიდთა სახელმწიფო აზერბაიჯანს. მალე მან მიიღო შეტყობინება თავის ქვეყანაში ცუდი სიტუაციის შესახებ და იძულებული გახდა სამშობლოში სასწრაფოდ დაბრუნებულიყო. ქვეყანაში მმართველობა მან თავის შვილს ვერდი ბეგს მიანდო. ვერდი ბეგმა როცა მმის სიკვდილის შესახებ გაიგო იძულებული გახდა სახელმწიფო მიეტოვებინა და ოქროს ურდოში გამგზავრებულიყო. ამით ისარგებლა ჯალაირიდთა შეიხ უვეისმა (1354–1374), დაესხა აზერბაიჯანს და 1359 წელს დაიპყრო იგი. შეიხ უვეისმა თავისი ქვეყნის დედაქალაქად თავრიზი აირჩია. მან შირვანიც დაიპყრო. მან ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო შექმნა.

ჯალაირიდთა შეიხ უვეისმის სიკვდილის შემდეგ მნელიგახდა სახელმწიფოს მმართვეა. ფეოდალურმა დაყოფამ და ხელისუფლების წინაარმდეგ გამოსვლამ შეასუსტა სახელმწიფო. ხელისუფლებაში მოსული სულთან აჰმედი (1382–1410) ეცადა გამოესწორებინა



გარკვე რომელი სახელმწიფოებია დღეს ოქროს ურდოს ტერიტორიაზე.

LAYI




ვითარება, მაგრამ ფეოდალების შეუწყნარებლობამ ხელი შეუშალა თავისი გეგმის რეალიზაციაში.

ორი დიდი მხედართმთავრის გეგმები აზერბაიჯანზე. აზერბაიჯანი იქცა პოლიგონად ოქროს ურდოსა და ამირ თემურის ჯარებისათვის. 1385 წელს ამირ თემურმა დალაშქრა აზერბაიჯანი. მაგრამ იგი დიდხანს არ გაჩერებულა და სახლში დაბრუნდა. სულთან აჰმედი ვერ მართავდა სახელმწიფოს და გაიქცა ბაღდადში. ოქროს ურდოს ხან ტახტამიშმა ისარგებლა ამ სიტუაციით და დალაშქრა აზერბაიჯანი. ტახტამიშმა გაჯარცვა თავრისი და სხვა ქალაქები, რის შემდეგაც დაბრუნდა ოქროს ურდოში დიდი ნადავლით.

1386 წელს ამირ თემური კვლავ დაესხა აზერბაიჯანს და დაიპყრო თავრიზი. ამ დალაშქრობის დროს, რომელმაც მიიღო დასახელება „სამწლიანი დალაშქრობისა“ ამირ თემურის ჯარი ნახიჩევანამდე მივიდნენ. აზერბაიჯანის მმართველობა დააკისრა თავის შვილს მირანშაჰს, თვითონ კი სამარყანდში დაბრუნდა. 1392 წელს თემურმა კვლავ დალაშქრა აზერბაიჯანი და თავრიზში შევიდა. ალინჯას



განმარტე ტახტამიშის თავდასხმის მიზეზი აზერბაიჯანზე.



ტახტამიში

LAYIPI



ამირ თემური

ციხეში შეფარებულ ჯალაირიდებს არ სურდათ თემურისადმი დამორჩილება. თემურის ჯარმა არაერთხელ სცადა ციხის აღება, მაგრამ მათ ეს არ გამოუვიდათ. 14 წლიანი ალყის შემდეგ აღინჯა დასუსტდა და 1400 წელს დაეცა.

ციხის დაცემის მიზეზი გახდა დამცველების განხეთქილება. თემურმა ბოლო ციტადელის აღების შემდეგ დაბრუნდა სახლში. 1405 წელს თემური მოკვდა, რამაც განმანთავისუფლებელი ბრძოლის ახალი ტალღა დაბადა. ჯალაირიდები მიისწრაფოდნენ ხელისუფლების აღდგენისაკენ და თავის მოკავშირეებთან ყარაყოიუნლებთან ერთად დაიჯრნენ თავრიზისაკენ. ამ ლაშქრობამ დაასუსტა თემურიდთა ძალაუფლება და შეიქმნა წინაპირობა ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად.



1. რა გახდა ჯალაირიდთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზეზი?
2. რატომ იბრძოდა თემური აღინჯას ციხისათვის?
3. როგორ მიიღეს ამირ თემურის სიკვდილის ამბავი აზერბაიჯანში?



1. დასწერე ესეე „აზერბაიჯანი XIV საუკუნეში“.
2. აღწერე აზერბაიჯანის პოლიტიკური სიტუაცია ჯალაირიდთა მმართველობის დროს.
3. აღწერე პოლიტიკური სიტუაცია აზერბაიჯანში ამირ თემურის პირველი ლაშქრობის წინ.
4. ახსენი ტახტამიმის ლაშქრობის მიზეზები აზერბაიჯანზე.

18. მმართველის სიბრძენე და ადგილობრივი მფლობელის შეუპოვარი ბრძოლა



ყოველ სახელმწიფოს გააჩნია თავისი შიდა და საგარეო პოლიტიკა. შიდა პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფოში სოციალ-ეკონომიკური სიტუაციის გასაუნჯობესებლად. საგარეო პოლიტიკა მიმართულია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების გზით საერთო ძალებით სახელმწიფოსათვის კეთილდღეობის მოსატანად. ჩვენი სამშობლო აზერბაიჯანი არის გაეროს წევრი და უამრავი ეკონომიკური ორგანიზაციის წევრი, აზერბაიჯანი უკვე აღიარეს ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოდ სამხრეთ კავკასიაში. ჩვენი პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ძალისხმევით და ბრძნული პოლიტიკის გატარებით აზერბაიჯანი შევიდა რიგ ქვეყნებში რიცხვში, რომლის აზრსაც მსოფლიოს ქვეყნები სცნობენ.

შენის აზრით რა როლს თამაშობს საგარეო პოლიტიკა სახელმწიფოს განვითარებაში? როგორ გესმის ტერმინი „ბრძნული პოლიტიკა“?

მმართველი, რომელსაც გააჩნდა პოლიტიკური გამოცდილება. XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევის შემდგომ, შირვანშაჰები მოექცნენ ურთულეს ვითარებაში. ჯალალედინის შემოსევის დროს შირვანშაჰთა მმართველმა ფარიზურს III გადაუხადა მას ხარკი და ამით შეინარჩუნა შიდა დამოუკიდებლობა. პოლიტიკურმა ცვლილებებმა არც შირვანშაჰები დატოვა თამაშ გარეთ.

XIV საუკუნის 80-ან წლებში პოლიტიკური სიტუაცია შირვანშაჰთა სახელმწიფოში დაიძაბა. შირვანშაჰ ხუმენგის გაუმადრობამ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. მმართველით უკმაყოფილონი იყვნენ არა მხოლოდ უბრალო მოსახლეობა, არამედ მსხვილი ფეოდალებიც. ამ უკმაყოფილებამ აჯანყება გამოიწვია. ხუმენგი მოკლული იქნა. ტრონი დაცარიელდა. თავადები შეიკრიფნენ საბჭოზე. გადაწყდა ხუმენგის ბიძაშვილის შეიხ იბრაჰიმის დანიშვნა მმართველად.

პოლიტიკური გამოცდილება, შეიხი, შეიხის მმართველობა.



განმარტე დამოუკიდებლობა და შიდა დამოუკიდებლობა.



შეიხ იბრაჰიმ I



როგორ აფასებ შეიხ იბრაჰიმ I პოლიტიკურ ნაბიჯს. განმარტე.

იბრაჰიმ I ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწეოდა თავის მამულში შექიში. 1382 წელს შეიხ იბრაჰიმ I დერბენდი გამოცხადდა შირვანშაჰად.

შეიხ იბრაჰიმ I ბაბუები მმართველად დერბენტს და ისტორიისათვის ცნობილნი იყვნენ როგორც დერბენდიები.

შეიხ იბრაჰიმ I მმართველობის დროს აღმოსავლეთის ქვეყნებში სიტუაცია დაიძაბა ამირ თემურის ლაშქრობებთან დაკავშირებით. შირვანშაჰები ორ ცეცხლს შუა მოექცნენ: ერთის მხრივ – ჩრდილოეთიდან ოქროს ურდო, მეოეს მხრივ ამირ თემურის ლაშქრობები

სამხრეთიდან. იმისათვის რომ სახელმწიფო გადაერჩინა შეიხ იბრაჰიმ I უნდა დაედო ზავი რომელიმე ერთ მხარესთან. შეიხ იბრაჰიმ I დარწმუნებული იყო, რომ ტახტამიში უფრო ახლო საფრთხე იყო. ტახტამიშს შირვანი რომ დაეპყრო შირვანშაჰთა სახელმწიფო განადგურდებოდა. ამირ თემურისათვის კი საჭირო იქნებოდა ისეთი სანდო კაცი, რომელიც შირვანს უხელმძღვანელებდა, ვინაიდან ის შორიდან იყო მოსული და სიტუაციაში კარგად ვერ ერკვეოდა. 1386 წელს შეიხ იბრაჰიმ I საჩუქრებით ეწვია ემირ თემურს ყარაბაღში. ამირ თემურმა სცნი შეიხ იბრაჰიმ I შირვანის მმართველად და დაავალა ჩრდილოეთის დაცვა. ამის შედეგად შეიხ იბრაჰიმ I აიცილა ქვეყნის გაპარტახება და პირიქით გაიძლიერა სამხედრო პოტენციალი.

შირვანშაჰთა ჯარი წარმატებით იბრძოდა თემურიდთა ჯართან ერთად ოქროს ურდოს წინააღმდეგ.

ამირ თემურის სიკვდილის შემდეგ (1405) აზერბაიჯანი გახდა საომარი პოლიგონი შირვანშაჰების, ყარა-ყოიუნლუების, თემურებისა და ჯალაირიდებს შორის. თემურიდთა დასუსტებით შეიხ იბრაჰიმ I გადაწყვიტა აზერბაიჯანის მიწების გაერთიანება შირვანშაჰთა ქვეშ. თემურიდთა წინააღმდეგ სახალხო მოძრაობის გამოყენებით შეიხ იბრაჰიმ I დაიპყრო განჯა და ყარაბაღი.

LAYIPI

აზერბაიჯანი XIII– XIV საუკუნეებში



LAYLH

?

შენის ამრით, რაფაქტორები უშლიდა ხელს შეიხ იბრაჰიმ I აზერბაიჯანის გაერთიანებაში?

1406 წელს თავრიზში დაიწყო აჯანყება. აჯანყებულებმა აიღეს ქალაქი და მიმართეს შეიხ იბრაჰიმ I დახმარებისათვის, რომელიც მაისში შევიდა თავრიზში. ამის შედეგად შეიხ იბრაჰიმ I შესძლო აზერბაიჯანის გაერთიანება. მაგრამ სულ მალე მისმა პოლიტიკამ მიწების გაერთიანებასთან დაკავშირებით სერიოზული წინააღმდეგობა იწუნა.

გაუტეხელი შექი. XIII–XIV საუკუნეებში შექი იყო შირვანშაჰების სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ საუკუნეების მანძილზე შექის მმართველი (ყარაბაღთან, მულანთან და არანტან ერთად) იყო ხულაგუიდთა ვაზირის ფაზლულაჰ რაშიდ ად-დინის შვილი ჯალალი.


ხულაგუიდთა სახელმწიფოს დასუსტების შემდეგ შექელებმა მიიღეს შიდა დამოუკიდებლობა. ხელისუფლებაში მოვიდა ოირატთა დინასტია. ისინი ცდილობდნენ თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

ამირ თემურმა თავისი პირველი ლაშქრობის დროს დალაშქრა შექის მმართველობა. შექი და მისი მიმდებარე ტერიტორიები გაიძარცვა. შექის მმართველობა ამირ თემურს დაემორჩილა. ამირ თემურის მიერ აზერბაიჯანის დატოვების შემდეგ შექის მმართველმა სეიდლი ალიმ უარი განაცხადა დამორჩილებაზე. თემურის მეორე ლაშქრობისას იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა შექი. თემურის ჯარმა კვლავ გაძარცვა შექი და მიმდებარე მიწები.


სეიდლი ალიმ გააგრძელა ბრძოლა თემურიდთა წინააღმდეგ. იგი გაერთიანდა ქართველ ფეოდალებთან და გაემართა ალინჯაში. მოკავშირეები დაეხმარნენ ჯელაირიდებს და დაამარცხეს თემურიდები. ამირ თემურის მორიგი ლაშქრობის დროს სეიდლი ალი მოკლული იქნა. იგი შეცვალა სეიდლი აჰმედმა. იგი შეიხ იბრაჰიმ I დახმარებით ეახლა ამირ თემურს საჩუქრებით, რომელიც კვლავ აზერბაიჯანში დაბრუნდა. თემურმა აპატია მამის შეცდომები და კვლავ სცნო შექის მმართველად.

?

შეადარე სეიდლი ალისა და სეიდლი აჰმედის პოლიტიკა? შენის აზრით, რომელი ატარებდა სწორ პოლიტიკას?



შექის მმართველობა



ამის შემდეგ შექის მმართველობამ დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნა თავისი მმართველობის მიღა დამოუკიდებლობა.



1. როგორ იყო შირვანშაჰთა სახელმწიფოს მდგომარეობა XIII საუკუნეში?
2. როგორ მოახერხა შირვანმა მძიმე სიტუაციიდან თავის დახწევა ტახტამიშისა და ამირ თემურის ლაშქრობების დროს?
3. როდის იქნა შექმნილი შექის მმართველობა?



1. შეადარე შექის იბრაჰიმ I პოლიტიკური გამოცდილება და ჯავანშირის საგარეო პოლიტიკა.
2. გაანალიზე შექის მმართველის სეიდლი ალის ბრძოლა.
3. გაანალიზე თავრიზელი მოსახლეობის მიმართვის მიზეზი შექის იბრაჰიმ I.
4. გააკეთე კომენტარი შირვანშაჰთა მმართველობის შესახებ XIII საუკუნის აზერბაიჯანში.

LAYIH

19. გადამთიელებმა ვერ შესძლეს ჩვენი კულტურის განვითარების შეჩერება



მოსწავლეები დიდი ხალისით იღებდნენ მონაწილეობას „ისტორიის კვირეულში“. მოსწავლეებმა დახატეს ისტორიულ თემატიკაზე ნახატები, შეაგროვეს ისტორიული წყაროები და გამოუშვეს საკედლე გაზეთი. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გიუნელის მაკეტმა. მაკეტი, რომელიც ცილინდრის ფორმისა იყო ეწერა ბარდის მავზოლეუმი XIV საუკუნე. გიუნელმა მოამზადა უამრავი ინფორმაცია ამ მავზოლეუმზე.

შენის აზრით რა ცნობები შეუძლიათ მოგვაწოდონ ისტორიულმა ძეგლებმა თავისი ეპოქის შესახებ? განმარტე შენი აზრები.



შარიათის გაკვეთილი, ხურუფიზმი, მაჰმუდ შაბუსტარი, არქიტექტურული ტრადიციები, ციხე – სიმაგრე ერკი

მეცნიერებისა და განათლების ქვეყანა. მართალია მონღოლების ლაშქრობებმა გარკვეულად შეაფერხეს აზერბაიჯანის კულტურისა და მეცნიერების განვითარება, მაგრამ ვერ მოსპვეს ისინი. ხულაგუიდთა მმართველობის დროს აღდგა კულტურა და მეცნიერება. გადამთიელებმა ვერ შესძლეს ჩვენი ხალხის მაღალი კულტურის განადგურება.

განათლება აზერბაიჯანში ხორციელდებოდა სკოლებში და მედრესეებში. სკოლებში ასწავლიდნენ შარიათს და ყურანს. მედრესეში ძირითადად აძლევდნენ საშუალო განათლებას. თავრიზის მედრესე ითვლებოდა მეორედ ბაღდადის ნიზამიეს მედრესეს შემდეგ, რომელიც დაარსა ფაზლულაჰ რაშიდ ად-დინმა. მისი წერილებიდან ცნობილი რომ, მედრესეში სწავლობდნენ ათასობით სტუდენტები, ძირითადად უცხო ქვეყნებიდან. აქ ისწავლებოდა ბუნებრივი მეცნიერებები, ასტრონომია, მედიცინა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება და სხვა. ფაზლულაჰ რაშიდ ად-დინი იყო ათეულობით ნაშრომების ავტორი, ასევე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და ექიმი. ამასთან ერთად იგი ისტორიკოსიც იყო.


თავის ნაწარმოებში „ჯამი ათ-თავარიხი“ – ში (ისტორიათა კრებული“) მან დაწვრილებით აღწერა ხულაგუიდთა მმართველობის შესახებ.



რასთან აკავშირებ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას ხულაგუიდთა სახელმწიფოში?

LAYIPI

XIII–XIV საუკუნეებში აზერბაიჯანში მოხდა ყველა სამეცნიერო დარგის განვითარება. ნასირ ედ დინ ტუსიმ თავის შექმნა თავისი მონუმენტალური ნაშრომები ასტრონომიაში, ფილოსოფიაში, მათემატიკაში და სხვა მეცნიერებებში. მისი ინიციატივით შეიქმნა მარაგის ობსერვატორია. 100 მეცნიერზე მეტი მუშაობდა და აკეთებდა დაკვირვებას ამ ობსერვატორიაში. ტუსი ასევე სახელმწიფო მოღვაწეც იყო, იგი ხულაგუ ხანის მრჩეველი იყო, ასევე აბაგა ხანის ვაზირიც იყო. ნასირ ედ დინ ტუსის, რომელსაც უძახოდნენ „მეცნიერებათა ქვეყნის შაჰს“, ნაწარმოებები „ზიჯ ელხანი“ („ელხანის ცხრილი“), „ახლაგი ნასირი“ („ნასირის წიგნი ზნეობაზე“) არიან შეუფასებელი ნაშრომები მსოფლიო მეცნიერებაში.



ფაზლულაჰ რაშიდ ად-დინი. ირანი.


პოეტები ქმნიდნენ, უკვე ტრადიციებით დამკვიდრებულ ნაწარმოებებს. ლექსები იწერებოდა არა მხოლოდ არაბულზე და სპარსულზე, არამედ აზერბაიჯანულზეც. პირველი აზერბაიჯანულენოვანი კლასიკური პოეზიის წარმომადგენელი იყო გასან ორლუ შეიხ იზედინი (XIII საუკუნე). ცნობილია მისი ორი გეზელი აზერბაიჯანულ ენაზე.



შეაფასე მოცემული ნაწერძოებები და გამოთქვი შენი დამოკიდებულება.

XIV საუკუნესი აზერბაიჯანში შეიქმნა ფილოსოფიური მოძრაობა – ხურუფიზმი. მისი ფუძემდებელი იყო დიდი აზერბაიჯანელი მწერალი ფაზლულაჰ ნაიმი. აზერბაიჯანიდან ხურუფიზმი გავრცელდა ირანში, თურქეთში, სირიაში, ერაყში და სხვა აღმოსავლეთ სახელმწიფოებში.

XIV საუკუნის ხურუფიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ჩვენი თანამემამულე იმად დე დინ ნასიმი. იგი ფაზლულაჰ ნაიმის უახლოესი მეგობარი იყო. ხურაფიტებს სჯეროდათ რომ, არაბული ასოები ღვთიურნი იყვნენ და წარმოდგენდნენ ალაჰის მეორე განსახიერებას. ეს მოძრაობა



ნასირ ედ დინ ტუსი.
მხატვარი ნაჯაფგულუ ისმაილოვი


LAYTHE

ფაზლულაჰ
ნაიმის
მაგზოლეუმი.
ნახიჩევანი



ჩაატარეთ მხატვრული ფილმის „ნასიმის“ განხილვა. რატომ იდევნება ხურუფიზმი ფილმში?

იმად დე დინ
ნასიმის ძეგლი.
ბაქო. სკულფტორები: ტოკაი მამედოვი, იბრაჰიმ ზეინალოვი



ფართოდ იყო გავრცელებული აზერბაიჯანში და გამოისახა ლიტერატურაში. ნასიმი თავის ნაწარმოებებში ხურუფიზმის პროპაგანდას ეწეოდა.

XIII საუკუნეში დაიწყო ტერმინის „აზერბაიჯანული ენის“ გამოყენება. ამ პერიოდში დაიწყო ლექსიკონების შექმნა. ლექსიკონებში დაიწყო აზერბაიჯანული სიტყვებისა და ტერმინოლოგიის განმარტება. დაიწყო აზერბაიჯანული გრამატიკის შრომების გამოცემა. გამოსარჩევია ენათმეცნიერების ხინდუმ ნახჩივანელისა და მისი შვილის მუჰამედ ნახჩივანლის შრომები.

აზერბაიჯანელი განმანათლებლის მაჰმუდ შაბუსტარის ნაშრომები ლოდიკაში, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, სამართალში და სხვა სფეროებში ფასობდა მთელს აღმოსავლეთში.

აღმოსავლური არქიტექტურის სამშობლო.

ხულაგუიდთა მმართველობის ხანაში ფართოდ დაიწყო არქიტექტურის განვითარება აზერბაიჯანში. ამ დროს ტრადიციად ჩამოყალიბდა ქალაქების დაარსება. სამხრეთ აზერბაიჯანში დარსდა ახალი ქალაქი სულეიმანიე, რომელიც იყო ხულაგუიდთა ერთ-ერთი დედაქალაქი. მუჰამედ ოლდჟაიტიუ ხუდაბენდეს მაგზოლეუმი აღმართული იყო სულეიმანიეში.

ყაზან ყაენის დავალებით მულანში კასპის ზღვის სანაპიროზე აღმართული იყო



ქალაქი მაჰმუდაბადი. ქალაქის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი მშენებლები.

აზშერონის არქიტექტურული ძეგლები – ციხე ნარდარანში, რამანაში და მარდაკიანში განსხვავდებოდნენ საერთო არქიტექტურითა და ორნამენტებით.

მარდაკიანში შენდებოდა მომრგვალო და ოთხკუთხა ციხეები.

ტრადიციად იქცა მმართველებისა და მისი ოჯახის წევრების საფლავებზე მავზოლეუმების აღმართვა. მავზოლეუმები ბარდაში, გიულისტანსა და ნახიჩევანში, ბაშტაგის აკლდამა ყარაბაღლარის არქიტექტურულ კომპლექსში არიან ნათელი მაგალითები იმ ხანის არქიტექტურისა.

ალიშაჰის მეჩეთი თავრიზში, ცნობილი როგორც „ერკის ციხე“, ღვთისმსახურობის ადგილი იმავდროულად მოსახლეობის თავშესაფარიც იყო. ეს

მეჩეთი ძლიერი კედლებითაა შემორტყმული და გაჭირვების დროს იცავდა თავრიზელებს.


აზერბაიჯანის ხელოვნების ნიმუშები, რომელნიც ამშვენებენ მსოფლიოს მუზეუმებს. XIII–XIV საუკუნეებში აზერბაიჯანში ვითარდებოდა ხელოვნება. აზერბაიჯანის ხალიჩებმა დაიპყრეს მსოფლიოს ბაზრები. ხალიჩების ქსოვასთან ერთად ვითარდებოდა




შეაგროვრე ფართო ცნობები არქიტექტურულ ძეგლებზე.



ჩაწერე რვეულში სურათებზე აღნიშნული არქიტექტურული ძეგლების თავისებურებანი.



რამანინთა ციხე.
ბაქო



მუჰამედ ოლდჟაიტუ ხუდაბენდეს მავზოლეუმი. სამხრეთ აზერბაიჯანი

LAYTHE



შუასაუკუნეების
აზერბაიჯანული
ხალიჩა

ასევე მინიატურები. მინიატურები ალამაზებდნენ ხალიჩებსა და წიგნებს. მსოფლიოს მინიატურის ცენტრი იყო თავრიზი. ხელნაწერი წიგნები თავრიზელი კალიგრაფების მიერ მორთული მინიატურებით დღესაც ამშვენებენ მსოფლიო მუზეუმების ექსპოზიციებს, მათ შორის სტამბულის ბიბლიოთეკებს.

ასევე ვითარდებოდა მეტალის დამუსავებაც. თასი მხატვრული გაფორმებით შექმნილი 1319 წელს თავრიზელი ხელოსნის იუსიფ იბნ აჰმედის მიერ გამოფენილია ბრიტანეთის ვიქტორიისა და ალბერტის სახელობის მუზეუმში. ტიანი (ჩაფი), დამზადებული აბდულაზიზ იბნ შარაფედინის მიერ 1399 წელს ინახება სანქტ – პეტერბურგის ერმიტაჟში.



1. რა ზიანი მიაყენეს კულტურას გადამთიელებმა?
2. რაში მდებარეობს ნასირ ედ დინ ტუსის, რომელსაც უძახოდნენ „მეცნიერებათა ქვეყნის შაჰს“ ღვაწლი?
3. შეიძლება თუ არა შეიტყო ხურუფიზმზე ნასირის ნაწარმოებებიდან?



1. განმარტე XIII–XIV საუკუნის აზერბაიჯანის კულტურის თავისებურებანი.
2. ახსენი აღორძინების და XIII–XIV საუკუნის არქიტექტურის მსგავსება.
3. დაამტკიცე რომ, ჩვენს დროს უკვე აღარაა საჭირო ციხესიმაგრეების აშენება.

ერთიანი აზერბაიჯანის გამო

20. ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფო



ერთ-ერთ დასვენების დღეს ხაგანი და მამამისი წავიდნენ აზერბაიჯანის ეროვნულ ისტორიულ მუზეუმში. ექსპონატებმა აღაფრთოვანა იგი. ერთ-ერთმა ექსპონატმა მიიბყრო მისი ყურადღება.

– მამა, რა საინტერესო სკულფტურაა?! რა არის ეს?

– შვილო, ყველაფერს გაიგებ ისტორიის გაკვეთილებზე. ყოველ ჩვენს ტომს გააჩნდა თავისი ტოტემი*.

აღვოიუნლუსა და ყარა-ყოიუნლუსებს ჰქონდათ ტოტემად შავი და თეთრი ცხვრები – ყოჩები. გამოთქმა „ყოჩივით მამაცი“ „ყოჩ კეროღლუ“ დაკავშირებულია ამასთან. ჩვენს დრომდე თანამედროვე სასომხეთის ტერიტორიის სასაფლაოებზე ნაპოვნია ძეგლები ცხვრის გამოსახულებებით. მაგრამ ეს ძეგლები მტრის მიერ განადგურებული იყო.



დაფიქრდი, რატომ განადგურეს სომხებმა ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი ცხვრების გამოსახულებები.

პატარა საბავოებიდან ძლიერ სახელმწიფომდე.

ერთ-ერთი ტომი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანის ისტორიაში იყო ყარა-ყოიუნლუს ტომი. ოღუზთა ტომის ბახარლის მიერ მმართველი, ტომის დასახელება დაკავშირებული იყო „შავ ცხვართან“. ისტორიულ წყაროებში ნათქვამია რომ, ყარა-ყოიუნლუსებმა დაიწყეს სახლობა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მე-V საუკუნის ბოლოდან.


ამ ტომის ცენტრალურ ოლქად, რომელნიც ოღუზთა პირველი ნაკადის დროს ჩამოსახლდა აზერბაიჯანში, იყო ერდჯიში, ვანის ტბის ჩრდილოეთით.

ბახარლი, ყარა – იუს-უფი, შიდა ომები, არაბული ერაყი, კომპენსაცია



*ტოტემი – ცხოველი, რომელსაც ეთაყვანება ტომი (ზოგჯერ ტოტემი ბალახიც იყო)

LAYITH



*ეკვიფტეს
მბრძანებლის
ციხეში*



სურათის საფუძველზე აღწერე რეალური მოვლენები და ატმოსფერო.



ეხლა რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა განისტობა? იპოვნე რუკაზე.

ყარა-ყოიუნლუები იძულებულნი გახდნენ მონროლთა შემოსევების დროს გამოეცვალად საცხოვრებელი ადგილი და გადასახლებულიყვნენ ცენტრალური აზიის სხვა სახელმწიფოებში: ერაყში და სირიაში.

ყარა-ყოიუნლუ ბაირამ ხოჯა, რომელმაც შექმნა აღმოსავლეთ ანატოლიის საათაბაგო, იყო გავლენიანი ამირა ჯალაირიდის მმართველ უვეისის კარზე. მისმა შვილმა ყარა მუჰამედმა კიდევ უფრო გააძლიერა საათაბაგო და დასდო კავშირი ცენტრთან ვანში. 1387 წელს ამირ თემური თავს დაეხა ყარა-ყოიუნლუებს. ყარა მუჰამედმა დაამარცხა მისი ჯარი. ამირ თემური იძულებული გახდა უკან ირანში დაეხია.

ყარა მუჰამედის სიკვდილის მერე მისი ადგილი ყარა იუსუფმა დაიკავა. მან გააგრძელა მამამისის დაწყებული საქმე და გააგრძელა ბრძოლა თემურ-დებთან., რომელნიც თავს დაესხნენ ვანს. ამის შემდეგ ყარა-იუსუფი დაახლოვდა სულთან აჰმედთან.

LAYLA

აზერბაიჯანული სახელმწიფო ყარა-ყოიუნლუ (1410–1468)



